# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

1924 წ. მარტის 2 — № 6°.— ფ. 20 კ.



შოთა რუსთაველი

„თეატ. და ცხოვ.“-ს დამატება. — ნახატი ძმ. ლადო და გრ. ჯაფარიძეთა.

## წელს შეუსრულდა 25 წელიწადი,

რაც ქართულ სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობს მსახიობი

# მარო მდივანი.

მარო მდივანი 25 წლის განმავლობაში ჩვენის სცენის მაღალ-ნიჭიერ და სახელოვან ქურუმებთან ერთად თავგამოდებით ემსახურებოდა ქართულ მელპომენას.

ნიჭიერი და მუყაითი მსახიობი, იშვიათის სასცენო გარეგნობით დაჯილდოვებული, მრავალ მომხიბლავ სახეებსა ჰქვეთს და სულ მოკლე ხანში სამართლიანად იჭერს ჩვენს სცენაზე საპატიო ადგილს. მის მიერ განსახიერებულ სახეობათა ჩამოთვლა შეუძლებელია; ჩვენ არ გვეგულება ქართული თეატრის რეპერტუარიდან თითქმის არც ერთი პიესა, რომელშიც არ გამლილიყოს მარო მდივანის შემოქმედება.

არას ვიტყვით ქართული თეატრის დიდი როლის შესახებ ქართველი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში

ეს ჭეშმარიტება ყველასათვის უდაოა.

დღეს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეთ გვმართებს მოვიხადოთ ვალი იმის წინაშე, ვინც საუკუნის მეოთხედი განუწყვეტლივ, თვის ძალ-ღონეს დაუზოგავად ემსახურა დიდს სახალხო საქმეს ქართულ თეატრს.

მსახიობს მარო მდივანს საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა კ.ირას მარტის 2-ს, აკადემიურ თეატრში გადაუხადოს ამ ღვაწლმოსილ და მადლიან მანდილოსანს სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

საიუბილეო კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქე 'ურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ სიზეიმო დღესასწაულში და ამასთანავე სთხოვს წინასწარ აცნობოს კომიტეტს, თუ რა სახით გამოხატავს მადლობას იუბილიარისადმი.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, აჭარისტანის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ხიმშიაშვილი თახსინ**

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარისტანის სახალხო
განათლების კომისარი **ვარშანიძე სულეიმან**

თავმჯდომარის ამხანაგები: **ქავთარაძე აკაკი, რამიშვილი გიორგი, ქორქაშვილი ლევან.**

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| | ბელოვი ალექსანდრე | მამფორიასი ლუბა | ლალიძე გრიგოლ |
| | ბერკოვსკი ლევ | ლორთქიფანიძე სულეიმან | ყალაბეგიშვილი ალ. |
| აკოფოვი სტეფანე | გოგობერიძე მამედ | მამფორია აკაკი | ფირცხალავა ლ. |
| ახალაძე მელიტონ | გომართელი შალვა | მეტონიძე ვ. | ქუთათელაძე დავით |
| ასკურავა ივან | ელიაშვილი-ლოლუასი ვ. ს. | მდოიანც აშოტ | იმედაძე ჭიჭიკო |
| ალექსანდროვი ალ. | თუმანიშვილი ალექს. | სიხარულიძე თომა | იმედაშვილი ალ. |
| ბერბერაშვილი ივანე | კეჟერაძე დარია | სულუხია გიორგი | ჩიქოვანი გიგა |
| ბარამიძე სულეიმან | კაჭახიძე კოწია | ფრონისპირელი გიორ. | რუსეიშვილი ნესტორ. |

საიუბილეო კომიტეტის მდივანი **დუდე ძნელაძე.**


საქართველოს

# კოოპერატიული კავშირის

ცეკავშირის

## საბანკო განყოფილება

ღებულობს **ანაბარს ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე** ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით

ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.

## იღებს ფულს გადასაგზავნად

**საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქში.**

ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონცების კურსის მიხედვითაც.

2—1

ოპერაციები სწარმოებს დილის 9—3 საათ. საღ 6—8 მდე.

# თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 6

ფასი 20 კაპ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.
რედაქციის ბინა: ძველი ქართული თეატრი (ყოფ. წითელარმიელთა კლუბი), სასახლის ქ., № 5, ეზოში.
ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | კ ვ ი რ ა, მ ა რ ტ ი ს 2 | გამოცემა 1924 წ.


## ს ა დ ღ ე ი ს ო

**აკადემიური თეატრი.** ჩვენი თეატრის ირგვლივ ატეხილი განგაში კვლავ საზოგადოებას აჩოჩქოლებს.

ე. წ. „განახლების“ მოტრფიალეთ, სხვათა შორის, ერთი ახალი ხერხი აიჩემეს თავისი ვითომდა რევოლიუციონერობის და ნუგბარობის გასამართლებლად.

ეს ხერხი გახლავთ ყველა იმათი შეურაცხყოფა, დამუქრება, არა-რევოლიუციონერებად, ძველებად მონათვლა, ვინც კრიჭაში უდგას ყოველგვარ უხამსობას.

საგნის სიდიადე თხოულობს განიფანტოს ყოველივე ის, რაიც სწორაზროვნებას აბუნდებს.

პირველყოვლისა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ, რომ **ძველი** თეატრის მომხრე და, მით უმეტეს, დამცველი არავინაა. და რომც იყოს ვინმე ამის მონატრე, ძველი ახალ ხანაში ვერც იბოგინებს.

მეორე —საზოგადოთ ხელოვნება და მასთან თეატრიც მუდამ რევოლიუციონური იყო, არის და იქნება, თუ სიტყვა **რევოლიუციას** გავიგებთ იმ მოვლენად, რომელიც ძველს ამხობს, სიყალბეს ნიღაბს აცლის, სულიერ აფორიაქება-გადახალისებას იწვევს, ჰმუსრავს ცრუმორწმუნოებას, მაყურებელ-მსმენელში განახლება-წინსვლის თვითაზროვნებას ჰნერგავს.

მაშასადამე, ვერც იმათ დავწამებთ არა-რევოლიუციონერობას, ვინც თეატრის ირგვლივ საქმიანობს.

მესამე —თეატრის საქმეში ყოველი ჩვენგანი ყოველთვის ახალ ძალას შესტრფის, ნორჩ ძალას უნატრის გამარჯვებას და, მაშასადამე, ძველს ვერ დავიცავთ, —ის, **ძველი**, აწმყოს და მომავალის წინაშე უკვე **პირნათელია, ვალმოხდილი.**

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ჩვენს აკადემიურ თეატრს ცალმხრივ დაუწყეს გამოყენება, რაიც, თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობთ, კარგს არას დააყრის ჩვენი სცენის მომავალს.

ჩვენს აკადემიურ თეატრში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გარეგნობამ, ხელოვნებისათვის ხელოვნებამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა წინ. სამაგიეროდ ესევე არ ითქმის მის არსზე, შინაარსობაზე, ჩვენი დღეინდელობის თვალსაზრისით.

ამას ამტკიცებს მთელი რეპერტუარი და ყალბად გაგებული ვითომდა რევოლიუციონური პიესები.

რას ვთხოულობთ ჩვენ?

აკადემიურმა თეატრმა, პირველყოვლისა და უმთავრესად, მაგალითი უნდა მისცეს, გეზი გაუკაფოს ნამდვილ **ეროვნულ-ხალხურ** თეატრს, სახით და არსით სრულქმნილს.

რას ვგულისხმობთ ეროვნულ-ხალხურ თეატრში?

რა თქმა უნდა, არა კაციჭამიურ გრძნობით გაქლენთილ რეპერტუარს, არამედ ისეთს, რომელშიაც აისახება ჩვენის ქვეყნის მშრომელი გლეხკაცობის, მუშა ხალხისა და თვითმეშრომე ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრება და ვითარება, მშობლიური სიტყვა, მშობლიური ხასიათი, მშობლიური იერი, მისწრაფება-მრწამსი .. ერთი სიტყვით, თეატრი ცხოვრების სარკე უნდა იყოს, ეს სარკე—უმთავრესად ჩვენის სიავკარგის მაჩვენებელი...

ჩვენი აკადემიური თეატრი ერთს და იმავე დროს უნდა იყოს მშობლიურ-რევოლიუციონური, წარსულის საძირკველზე ახალის დამამყნობელი, და, ვიმეორებთ, რამდენათ იდეურ-შინაარსიანი, იმდენად გარეგნულ ფორმით უმაღლეს წერტილამდე აღყვანილი.

ჩვენი თეატრი უნდა გავიდეს „მსოფლიო შარა-გზაზე“, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ უცხო პიესები ქართველმა მსახიობებმა გაითამაშონ მოსკოვს, პარიზს, ლონდონსა და ბერლინში, არამედ უფრო მეტად ის, რომ ქართველი ხელოვანი თავისი საკუთარი **მეობით** წარუდგეს ევროპას როგორც გარეგნობით, ისევე შინაგანობით...

***

**ხალხის სული და სიბრძნე.** ყოველ ხალხს აქვს საკუთარი სულისა და სიბრძნის, მსოფლმხედველობისა და რწმენის საგანძური.

ეს არის ზღაპრები, იგავ-არაკები, უფრო-კი ანდაზები.

ასეთი ნაწარმოებით მდიდარია ჩვენი ხალხი, რომელსაც რაოდენიმე ათასეული წელიწადი უცხოვრია მრავალ ისტორიულ ერთან ურთიერთობაში და შეუქმნია საუკუნეთა ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტები.

ეს არის ულრმეს-უმდიდრესი წყარო ხალხის ისტო-

რიულ-კულტურულ შესწავლის, ენის, სწორ-აზროვნების, ჭეშმარიტ-მეტყველების, ყოველდღიურ ცხოვრების მცნებისა, ლექსიკოლოგიის და სხ.

ამ ნაწარმოებთა შეკრების შესახებ არა ერთხელ აღძრულა ლ პარაკი ჩვენს მწერლობაში, ზოგჯერ მოგროვილი მასალაც დაბეჭდილა აქა-იქ ჟურნალ-გაზეთებში, რაიც საზოგადოდ, ხელმიუწვდენია და ხშირად ვერც ძველთსაცავში იპოება.

დღეს, როდესაც ჩვენი სკოლა გაეროვნულდა, საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის ნაწარმოებნი ქართულდება ანუ ქართულად იწერება,—აუცილებლად საჭიროა ამ ხალხურ შემოქმედების—შეკრებილის გამოცემა, შესაკრების შევსება და გამოქვეყნება, რათა ჟამთასვლამ არ შთანთქას.

ამ ნაწარმოებთა გამოცემა-შესწავლა აგვაცილებდა ქართული ენის იმ ჯალათების მკრეხელობას, რომელთაც მშობლიური ენამეტყველების ბუნება შერყვნეს.

ჩვენში კარგად ცნობილ ლევ. მეტრეველს თითქმის ხუთმეტი წელიწადია შეკრებილი აქვს და უწყებულ წესზე დალაგებული ხალხური შემოქმედების უმთავრესი დარგი—ანდაზები. წიგნში შესულია ორი ათასზე მეტი ანდაზა.

ეს წიგნი ერთი აუცილებელი სახელმძღვანელო თანამეგობარი იქნება, ენისა და აზროვნების სახარება ყველა ოჯახის, მასწავლებლის, მოწაფის...

და, აი, ასეთი წიგნი დღემდე გამოუცემელია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მაღალი ღირსება საყოველთაოდ აღიარებულია. სახელგამის მოვალეობაა უპირველესი ყურადღება მიაქციოს ამ წიგნის გამოცემას და, რაც შეიძლება, დროით მიაწოდოს ჩვენს ხალხსა და ენათმეცნიერებას ეს საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი ქართული სიბრძნე.

# ისევ ჩვენი თეატრისათვის*)



ოფელია—ტასო აბაშიძე

ქართული ცხოვრების რა საკითხსაც უნდა შევეხოთ, წარსულ საუკუნეს ვერ ავცდებით, რადგანაც მაშინ მოხდა ძლიერი გარდატეხა როგორც ჩვენს ცხოვრებაში, ისე ჩვენს აზროვნებაში.

ქართველი ერის წინაშე წამოიჭრა ძლიერი საფრთხე რუსული თვითმპყრობელობის სახით; ერის არა თუ მომავალი, თვით არსებობაც განსაცდელში ჩავარდა და ამან იქონია ძლიერი გავლენა მთელს ჩვენს შემოქმედებაზე.

არისტოკრატიული ნაწილი ჩვენი პოეტებისა შეიპყრო წარსულზე გოდებამ, მაგრამ დაჰბერა ძესამოცე წლების ლიბერალურმა მიმდინარეობამ და ჩვენს საზოგადოებაში გაისმა ძლიერი ხმა ილია ჭავჭავაძისა: უნდა აღვადგინოთ ჩვენი დაცემული ვინაობა.

მართალია, დიდი გაუგებრობა, გაურკვევლობა და არევდარევა არსებობდა მთავარ საკითხში, თუ რა გზით შეიძლებოდა ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, მაგრამ მუშაობა დიდი იყო და დიდი ნაყოფიც მოიტანა. მწერლობამ, პოეზიამ, თეატრმა—ყველამ მიზნად დაისახა ერის აღდგენა და გაჯანსაღება; საქართველო და ქართველი ერი—აი რა იყო არა თუ მთავარი, ხშირად ერთადერთი თემა. შეშინებული ბავშვი რომ დედას ეკვრის და არა სცილდება, ასე მოგვდიოდა ჩვენც.

პოეზიაში ჩამოყალიბდა ერთგვარი თემა და ფორმა, სასცენო ხელოვნებაში გამეფდა ქართული ყოფა-ცხოვრება და მთელი ჩვენი ვინაობა და მდგომარეობა მოექცა კრიტიკის სასწორზე.

ეს იყო აუცილებელი და მეტად საჭირო გზა ჩვენი შემოქმედებისა: ვისაც საკუთარი თავის მიუდგომლად გაზომვა შეუძლია, მას დიდი განახლების უნარიც შესწევს.

რაც უნდა დიდი იყოს სამშობლოს ფარგლები, ხელოვნებას მაინც უფრო ფართე და განიერი ასპარეზი ესაჭიროება.

ეროვნული შემოქმედება და ხელოვნება მაინც არა

*) ჩვენი თეატრის ირგვლივ დატრიალებული ამბები ითხოვენ ყოველმხრივ გაშუქებას. სასურველია, ვისაც უნარი შესწევს და საქმეში ჩახედულია, ამ საგნის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი პატივცემული თანამშრომელ-კრიტიკოსის ამ წერილის ზოგიერთ დებულებას არ ვიზიარებთ. რედ.

არა ნიშნავს, რომ ნიადაგ საკუთარ თავზე სწერო და საკუთარ კერას უტრიალო გარშემო.

ეროვნული შემოქმედება უწინარეს ყოვლისა არის ეროვნული ტემპერამენტი, ეროვნული მაჯა.

პოეზიამ მოვცა დიდი ცეცხლი, დიდი მიღწევა, მაგრამ ბოლოს ის მიადგა შაბლონს და ერთფეროვანი, გამოფიტული და მოსაწყენი შეიქნა.

საჭირო იყო გადახალისება, ახალი ნაკადული. ამ გზაზე გამოვიდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მგოსანი და გაჩნდენ ჩვენში პროლეტარული რევოლუციის პოეტები ვარლამ რუხაძის მეთაურობით.

ამ მიმართულებამ გამოიწვია დიდი მოძრაობა ჩვენს პოეზიასა და ცხოვრებაში. ევდოშვილმა, რუხაძემ, ქუჩიშვილმა, ნოე ჩხიკვაძემ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი პოეზიის განახლებაში, მაგრამ ახალი ღვინო მათ ჩაასხეს ძველ ტიკებში, ძველი ფორმა, ძველი სტილი, მთელი ძველი პოეტიკა უცვლელად დასტოვეს. მათ იზიდავდა სიახლე მოტივისა და არა ფორმისა.

ახალი მოტივი კი ყოველთვის ახალ ფორმას ითხოვს. თავმომწონე ადამიანი წვეულებაში ნათხოვარი ტანისამოსით არ წავა.

გრიშაშვილმა და აბაშელმა დაიწყეს ახალი ფორმების ძიება, მაგრამ მათი ნოვატორობა ამ დარგში იყო პიროვნული, თუმცა მეტად ნაყოფიერი.

საერთო ნებითა და ხელიხელ ჩაკიდებულნი გამოვიდენ ახალ გზაზე ცისფერი ყანწელები და მე მახსოვს კარგად ის განგაში და აურზაური, რაც მათმა პირველმა ნაბიჯებმა გამოიწვია.

მე თვითონ ვწერდი პაროდიებს მათ წინააღმდეგ ამავე ჟურნალის ფურცლებზე.

რატომ?

იმიტომ, რომ ძლიერ გაქანებაში ისინი გადასცილდენ ზომას და მოინდომეს ზოგიერთ ისეთ სახელების გადაქელვა, რომლებსაც ჩვენ ვერავის ვერ დავუთმობთ.

გაიარა დრომ და რასა ვხედავთ დღეს?

ცისფერ ყანწელებმა განდევნეს ძველი სტილი, ძველი მეტრი, რითმა და დაამყარეს ახალი პოეტიკა.

დღეს ყველა—მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგეც კი—სწერს ცისფერი ყანწელების პოეტიკით და ძველი პოეტებიც ნელა-ნელა ითვისებენ ცისფერ ყანწელების სტილს, ასონანსებს და კონსონანსებს.

უნდა აშკარადა ვთქვათ, ეს არის გამარჯვება ცისფერ ყანწელებისა. ბევრ დებულებას მათი ესთეტიკისას მე არ ვიზიარებ, ამაზე ბევრჯერ გვექნება ალბათ ლაპარაკი,—მაგრამ მათი პოეტიკა დღეს ყველასათვის სავალდებულო გახდა.

სწორედ იგივე მეორდება დღეს ჩვენი სასცენო ხელოვნების დარგშიაც.

ჩვენს თეატრს დიდი და ბრწყინვალე წარსული აქვს. მან აღზარდა მთელი თაობანი, შეიტანა დიდი განძი ჩვენი კულტურის სალაროში, მაგრამ დღეს უკვე სხვა დრო არის. უნდა ვთქვათ ხმამაღლა და გაბედულად: დღეს თემაც სხვანაირი გვინდა, თამაშიც სხვაგვარი, მსახიობიც სხვანაირი და სცენაც სხვა.

ასე ვითარდება ხელოვნება, სხვა გზა მას არა აქვს და ეს არ არის უარყოფა ან შეურაცხყოფა წარსულისა, ეს არის მხოლოდ აუცილებელი საფეხურები ხელოვნების რკალში.

ახალგაზრდა მსახიობები, რომელთა მანიფესტმაც ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, სწორედ ამ მიზნით არიან გატაცებული, მათ სწყურიათ განახლების შეტანა სასცენო ხელოვნებაში, მათ უნდათ ამ განახლების შეტანა, მათ შესწევთ ნიჭი და სიმტკიცე ამ განახლების შეტანისათვის.

ახალგაზრდულ გატაცებას ყოველთვის სჩვევია გადაჭარბება.

აი ასეთს გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი იანვრის ოცდაცხრასაც.

მანი ვესტები საჭიროა, თანამედროვე მოთხოვნილებამ წარმოშვა ისინი, მაგრამ **ზოგიერთი ადგილი აღნიშნული მანიფესტისა მიუღებელია**.

არტისტი დიაღაც უნდა იყოს ცეცხლოვანი, რიხიანი, ფაფარაყრილ რაშზე. უნდა იყოს იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი დრო და ეს დრო კარგია სწორედ იმიტომ, რომ ის რიხიანია, ცეცხლოვანი და ფაფარაყრილ რაშზე გაქანებული.*

ვინ იტყვის, რომ აღნიშნული მანიფესტის ჯგუფში არ იყოს ჭეშმარიტი ნიჭი, დიდი ცეცხლი, დიდი გაქანება და დიდი შესაძლებლობა?

რა თქმა უნდა, ეს არ აძლევს მათ უფლებას, უკადრისად მოიხსენიონ ის, რაც შეადგენს საფუძველს ჩვენი ახლობელი კულტურისას, მაგრამ არც ვისმე ჩვენგანსა აქვს უფლება მომავალს ზურგი შეაქციოს და ყბად აიღოს ყოველივე, რაც განახლებისა და ამაღლებისაკენ მიისწრაფის.

გაღმერთება არ ვარგა არაფრის, რაც უნდა დიდებული იყოს ის. ჩვენს თეატრს ბრწყინვალე წარსული აქვს, იქითკენ ქვას არავის არ გავასროლიებთ.

მაგრამ ჩვენ კიდევ უკეთესი გვინდა, რადგანაც გვწამს ჩვენი მომავალი.

ვინ უნდა შექმნას ეს უკეთესი?

იმათ, ვისაც ძარღვებში სისხლი უდუღს, საფეთქელი მედგრად უცემს და გულში ცეცხლი უგიზგიზებს.

საჭიროა სიდინჯე, სითხიზლე და საქმეში ჩახედვა. ყოველ დარგს ჩვენი ცხოვრებისას განახლება ესაჭიროება, განახლება ესაჭიროება ხელოვნებასაც.

განახლების გზაზე შეცდომა, გადაჭარბება, წაბორძიკება, უკიდურესობა, გაუგებრობა, ზოგჯერ გადაჩეხვაც აუცილებელია, მაგრამ უამისოდ მეორე ნაპირს გასვლა შეუძლებელია.

**ივ. გომართელი.**

## ღარიბ ქოხში

ღარიბ ქოხში დავიბადე, შევეზარდე ბედკრულთ კერას.
სიყრმიდანვე შევეჩვიე ჩემს უკულმართ ბედის-წერას.

კარგად მახსოვს მამის ტანჯვა, მისი შრომა უამური,
რომ როგორმე ოჯახისთვის მოეპოვა ლუკმა-პური.

მამაც მოკვდა,—ვერ გაუძლო თავის ყოფას ბედკრულ-
მწირსა
და, მის ნაცვლად, მე მივათრევ დღეს ცხოვრების ჭაპან-
ჭირსა!

**სიო ხიდისთაველი**

# ჩვენი მეცნიერი

**პეტრე გრ. მელიქიშვილი**

„ვინა სთქვა საქართველოზე,
ეს არის გმირი კვდებაო!"

ნახევარი საუკუნე ქვაც ვერ გორავსო, ხოლო ჩვენის ქვეყნის საამაყო ძე პეტრე მელიქიშვილი ნახევარი საუკუნეა მეცნიერებას გზას უშუქებს ახალახალი აღმოჩენა-გამოკვლევებით და კაცობრიობის წინსვლას აცისკროვნებს.

პეტრე სახელოვან ოჯახის შვილია. მისი წინაპრები აჭარიდან არიან, იქ მუსლიმანობის შემოსვლის შემდე, ახალციხეს გადმოსული და გაკათოლიკებული. მამა მისი გრიგოლი სამშობლოს ღრმა მოსიყვარულე იყო ტფილისს გადმოესახლა, აქ შეიძინა სახლი, შვილები სასწავლებელში მისცა. ამ გრიგოლის წყალობით ჩაეყარა საძირკველი 60 წლებში ტფ. ქართულ სტამბას, ამ სტამბაში დაიწყო ბეჭდვა პირველი ქართული გაზეთის „დროება"-სი; პეტრეს და-ძმანი კეკე მესხისა (სერგო მესხის ქვრივი,—ცნობილი საბავშო მწერალია, ქართული პრესის აღორძინების ნაამაგდარი მუშაკნი სტეფანე და სოსიკო მელიქიშვილები, რომელთაც დიაღაცა რომ დიდი ამაგი დასდეს ჩვენის ერის წინსვლას.



**დამსახურებული პროფ.-მეცნიერი პეტრე გრიგოლ..სძე მელიქიშვილი.**

პეტრე დაიბ. 1850 წ. თიბათვის 29 ტფ. საშუალო სასწავლებელის დასრულების შემდეგ 1872 წ. დაამთავრა ოდესის უნივ-ის საბუნებისმეტყველო ნაწილი, ერთ წელს სამშობლოში იმასწავლებლა ცნობილ ფავრიხ კერძო გიმნაზიაში, შემდეგ ორი წელიწადი ტიუბინგენში მეცადინეობდა მეცნიერთა ლოდორ მაიერისა და კარლსრუესში პროფ. იუსტის ქიმიურ ლაბორატორიაში. 1876 წ. მიიწვიეს ოდესის უნივ-ის ლაბორანტად. ორი წლის შემდეგ ჩააბარა სამაგისტრო გამოცდა, 1881 წ. წარადგინა დისერტაცია „აკრილის მჟავების ნაწარმთა შესახებ", აღიჭურვა ქიმიის მაგისტრის ხარისხით და 1882 წ. კვლავ საზღვარგარედ—პარიზში. ორ წელს უსმენდა ბერტელოს, მუშაობდა მიუნქენში პროფ. ბაიერთან. 1884 წ. აირჩიეს ოდესის უნივ-ის აგრონომიულ ქიმიის დოცენტად, შემდეგ წელს წარადგინა დისერტაცია „იზიკტროტონ მჟავის ნაწარმთა შესახებ', ებოძა ქიმიის დოქტორის ხარისხი და ექსტრა-ორდინანარ პროფესორად დაინიშნა. კითხულობდა წმინდა ქიმიის კურსს. 1882 წ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ჰარბჟანგების გამოკვლევისათვის დააჯილდოვა ლომონოსოვის დიდი პრემიით. 1907 წ. ოდესის უნივ-მა უბოძა დამსახურებულ პროფესორის წოდება. 1917 წ., რევოლიუციის შემდეგ, როცა დიდათ ცნობილ მამულიშვილ-მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მოწინავე სწავლულ ქართველთა ჯგუფმა ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება განიზრახა – პ. მელიქიშვილი სათავეში ჩაუდგა და თვისი მსოფლიო სახელით ქართული უნივერსიტეტის დაარსება უდავო ჰყო.

დაწერილი აქვს ასამდე სამეცნიერო გამოკვლევა, რაც გადათარგმნილია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხ. ენებზე. მელიქიშვილის ნაშრომებით რამდენადაც შეივსო საერთოდ მსოფლიო მეცნიერების საგანძური, იმდენად ამაღლდა მისი მშობელი ერის—ქართველების გონებითი ბუმბერაზობის ღირსება და სახელი.

გამოზარდა არა ერთი და ორი თაობა სამეცნიერო მუშაობისათვის: მისი ბევრი ნამოწაფარი უცხოეთში სამეცნიერო დაწესებულებას სათავეში უდგას.

ამიტომაც იყო, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა ასე დიდებით შეამკეს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა: საქ. სახელმ. უნივერსიტეტმა გადაუხადა 50 წ. იუბილე.

კაცობრიობა და მშობელი ერი მუდამ დაფნის გვირგვინთ დაუწნავს ასეთ შვილთ.

ვაშა საყვარელ დიდს მეცნიერს, გაუმარჯოს მის კვალზე მიმავალთ! **იოსებ არიმათიელი.**

# ჟამთა ფერხულში

ბედით ჟამთა ფერხულში წამი წუთებს დაითვლის
ულევ შარად სიცოცხლე – კიდევ მრავლად ჩაივლის;
დახავსებულ სიძველეს უჩანს კვალი ჰქენების –
საუკუნეთ შავ ღერძზე მძივად ასხმულ დღეების!
ფერადობის სივრცეში თვალს არ უჩანს საზღვარი,
სისხლის ორბიტს ვერ გასცდა ზრახვა, შურით ნაფარი,
თუმც-კი გაქრა კარნახი თავაშვებულ მეფეთა,
ვით კიროსის ლაშქარი ბაბილონის კედლებთან!
სახოვანი კრებული გზათ დაქსელვას უნდება –
და სხვაგვარი ნიღაბით ისევ უკან ბრუნდება.
გამობრძმედილ მსოფლიოს გზა არ დარჩა უსვლელი,
სახეობა თუ ბრუნავს, ბუნებაა უცვლელი!
ლტოლვის ზღუდეს სიცოცხლეს ზრახვა მსხვერპლად მიახლის,
ტანჯვა არის მორბედი მხოლოდ დროთა სიახლის;
ისე ქრება სიმძლავრე ჯარათ ანახეტები,
ვით მრისხანე სამუმის ქვიშიანი სვეტები!
დანგრევის წინ იზიდამ სიყვარულის თარეში
უკვდავებათ გაყინა სფინქსის უძრავ თვალებში.
ჟამი ანგრევს მსოფლიოს, —მოგონება არ, ქრება,
ჟამსვე რჩება წარსული ლეგენდარულ ზღაპრებათ!...

**მ. უზნაძე**

# სასაფლაოზე

გულშემზარავი სიცივე...
დაუსრულებელი კენტად სიარული...
დათალხული სული...
ნაცნობების პროფილები...
ფიქრები ნეტარ ჭაბუკურ წარსულზე...
დავერცხლილი თმა...
უმიზნო ცხოვრება
და...
შორეული პერსპექტივები.

***

ისევ ჩემ სოფელში ვარ, სოფელში, სადაც ძველებური სულიერი სიწმინდეა გამეფებული.

ქალაქის შურიანი თვალი ჯერ კიდევ ვერ შესულა შრომის ქვეყანაში. გულუბრყვილო გლეხის დანაოჭებული კისერი ისევ სიმართლეს ემსახურება და ოფლით აპოხიერებს ყანებს.

დიაღ, სოფელი წმინდა არის ვით დილის ნამი, უცვოდველი ვით ახლად ამოხეთქილი ია და სათუთი ვით ცისკარზე გაშლილი ვარდი.

მაგრამ... მაგრამ... მე აქაც მცივა...

ჩემი სული აქაც აჯანყებულია. .

ჩემი გული, ათი-ათასჯერ დასერილი გული, წმინდა სოფელშიაც ვერ ჰპოულობს მოსვენებას...

***

ყველამ დაიძინა...

მეორე ოთახიდან ისმის მოხუც მამაჩემის დაუსრულებელი ხვრინვა და დაჭიმულ ნერვებს უფრო ათამაშებს.

ფეხაკრეფით გავდივარ მარანში, რომ ღვინოში ჩავაღრჩო მოწყლილი სევდა.

ამაო გამოდგა ჩემი განზრახვა... ღვინომ ვერ სძლია ნერვიულობა...

— ოხ, რა კარგია უგრძნობელი დათრობა, ან უეცარი სიკვდილი, —ვფიქრობ მე...

— სასაფლაოსკენ, სასაფლაოსკენ,— ალაპარაკდენ ნიგვზის ხის ფოთლები და...

რამდენიმე ხნის შემდეგ მიცვალებულთა აჩრდილნი საიქიოს ამბებს მიყვებოდენ...

— რატომ არის თქვენთან ერთად დედა ჩემის ლანდი?—და ან ის, ვისმა დაშორებამაც ჩემი სული ასე დათალხა?— შევეკითხე მათ.

— შენი სატრფოს სული ავად არის და დედა შენი უვლის მას,— მომესმა პასუხი...

— როგორ? —საიქიოსაც არის ავადმყოფობა, დაუსრულებელი ტანჯვა?...

ნუ თუ საკმარისი არ არის ადამიანის სააქაოს დაცინვა?..

ნუ თუ აქ, ამ სევდის სამფლობელოში, არ გვეყოფა ბოლმის სამსხვერპლოზე დაწვა?

ოხ, როდის,- ან სად უნდა მოისვენოს ადამიანმა!...

**შალვა გომართელი**

# რუსთაველის თეატრი

**„გაზი" გეორგ კაიზერისა.** გეორგ კაიზერი, რომლის პიესა „გაზი" ტფილისში პირველად იქნა წარმოდგენილი ქართულ სახელმწიფო დრამის სცენაზე, ერთი ნიჭიერი წარმომადგენელთაგანია გერმანული ექსპრესიონიზმისა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მისი პიესა „გაზი" ყოველის მხრივ სრული და ერთიანი იყოს: მას აქვს უფრო ღრმა, უფრო მძლავრი და მძაფრი, უფრო წარმტაცი ნაწარმოებნი („მარჯანი", „კალეს მოქალაქენი", „ევროპა" და სხვა), სადაც სავსებით გადაშლილია მისი შემოქმედებითი ნიჭის თავისებურობანი. მაგრამ „გაზი", ყოველ შემთხვევაში, ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ექსპრესიონისტული მიმდინარეობისა, რამდენადაც მასში თავმოყრილია ყველა ის განსაკუთრებული ნაკვთები, რომელნიც ახასიათებენ ამ მიმდინარეობას ხელოვნებაში.

ექსპრესიონიზმის წყარო ის სულიერი გარცხაა, რომელმაც შეიპყრო გერმანიის საზოგადოება დამარცხების შემდეგ. უილაჯობამ, პერსპექტივათა უკიდურესმა გაცამტვერებამ, ერთგვარმა უიმედობამ გამოიწვიეს ხელოვნებაში ის სიმწვავე, რომელიც ახასიათებს ექსპრესიონიზმს. იგი გაურბის უძლურს, ასე ვსთქვათ, სიფაქიზეს და მის მაგიერ შემოაქვს თვალის მომჭრელი, უკიდურესად დაუქნელი, მეტად ფიცხი სახეები. ამავე დროს მასში გამოხატულია სრული წინააღმდეგობა არსებული ბურჟუაზიული საზოგადოებისა, კაპიტალისტური ურთიერთობებისა; მაგრამ ეს იმას სრულიადაც არა ნიშნავს, რომ ეს ანტიბურჟუაზიულობა უთუოდ სოციალიზმისაკენ მიილტვოდეს. უფრო ხშირად, როგორც ეს „გაზ"-საც ემჩნევა, ჩვენ ვხედავთ ან უკიდურეს მემარცხენე ანარქისტულ მოვლენათა ხოტბას ან და შერიგების იდეას (თითქმის იმავე სახით, როგორც ეს ტოლსტოის აქვს).

სიტყვა აქ ისევე მოკლე, ზოგჯერ ისევე უხეშია როგორც თვით არსი ექსპრესიონიზმისა. გრძელი პერიოდების ნაცვლად აქ გაბნეულია ცალცალკე სიტყვები, რომელთაც მსმენელის ოცნებაში ან აზრში უნდა გამოიწვიონ მთელი ხატება, მთელი სურათი. და ამიტომ ამ სიტყვას ერთგვარი სიმძაფრე, რიხიანობა ექსოვება თვით ავტორის მიერ. ეს უფრო აფეთქებას მოაგონებს ადამიანს, ვიდრე სიტყვით გამოთქმულს რაიმე აზრს.

დაბოლოს, ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებათაგანი ექსპრესიონიზმისა არის იმისი კონსტრუქტივიზმი, ერთგვარი სქემატიურობა მომქმედ პირთა, რომელთა სახელებს თქვენ ამაოდ დაუწყებთ ძებნას ნაწარმოებში „გაზ"-ში არის მილიარდერის შვილი, შავი ადამიანები, მუშები, ინჟინერი და სხვ., მაგრამ არ არის ის, რაც რაიმე მხატვრულ ინდივიდუალობას წარმოადგენს, რომელშიც გამოსჭვივის ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა. ამ მომქმედ პირთ არა აქვთ სახელი, არა აქვთ არც სისხლი თავისი და არც სხეული თავისი. ეს სქემაა და არც რეჟისორს და არც მსახიობს, რაღა თქმა უნდა, უფლება არა აქვთ მათ რაიმე ინდივიდუალური ელფერი მისცენ. ამავე სქემას ემსახურება აგრეთვე ტელეგრაფის ყაიდაზე შემოკლებული სიტყვები და წინადადებანი, რაიც ბოლოს

და ბოლოს უთუოდ ჰლალავს მსმენელის გრძნობას და ოცნებასაც.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ექსპრესიონისტულ ნაწარმოებთ ახასიათებს ანტიბურჟუაზიულობა. მაგრამ ეს ანტიბურჟუაზიულობა, ყველა ეჭვს გარეშეა, არ არის სრულიად სოციალიზმის ქადაგება. პირიქით, თუ დაუკვირდებით „გაზს" თავიდან ბოლომდე, იქ ჩვენ ვერ ვნახავთ ამ სოციალისტურ მოძღვრებას. პირიქით, მისი კონსტრუქტივიზმი, მისი მისწრაფება, რომ ყოველივეს მანქანისებური კონსტრუქციის ელფერი ჰქონდეს, ეს სწორედ ის არის, რის წინააღმდეგაც იბრძვის სოციალიზმი, რომელშიც ორგანიზაციის პრინცპს, ნაცვლად კონსტრუქციისა, განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყოველ ეჭვს გარეშეა, მანქანა უდიდესი ძალაა. მაგრამ ეს ძალა კაპიტალიზმის ხანაში უთუოდ ადამიანისადმი მტრული ძალაა. სოციალიზმის მიზანია—გამოჰგლიჯოს მანქანას ადამიანი, ნება არ დართოს მანქანას ადამიანის მექანიზაციისა და აქციოს მანქანა ადამიანის ნაწილად, რომელსაც გადაეცემა ის ფუნქციები ადამიანისა, რომელთაც შემოქმედება არა სჭირდება, რათა ამით განთავისუფლებულ იქნას ადამიანის სხეულიც და ფსიხიკაც შემოქმედებისათვის. „გაზ"-ში ავტორს ესევე სქემატიურობა ახასიათებს და, მიუხედავად სიტყვათა რევოლიუციური ერისა,—აქაც მანქანა უფლობს ადამიანს, ე. ი. ასახულია უაღრესად ბურჟუაზიული თვისება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია არსებითად სოციალიზმის მთელი ბრძოლა.



მუშა-მსახიობი **ნიკო გოცირიძე**
მისი მომავალი იუბილეს გამო,
რუსთ. თეატრში მარტის 23

ერთიც უნდა აღინიშნოს დასასრულ: „გაზ"-ში ჩვენ ვერ ვამჩნევთ სიუჟეტის იმ სიმწვავეს, რომელიც საზოგადოდ ახასიათებს გეორგ კაიზერს. მართალია, იგი თითქოს თანამედროვე ხასიათისაა, ინდუსტრიის განვითარებას ასურათებს, მაგრამ ეს ხომ საერთო მიდრეკილებაა ექსპრესიონისტებისა, რომელნიც ინდუსტრიასაც ეტანებიან, სამხედრო ტეხნიკის განვითარებასაც და სხვ. —სწორედ იმ დარგს, სადაც ყველაზე მეტად და ყველაზე უფრო მკაფიოდ არის ასახული კაპიტალიზმის ბუნება და კაპიტალისტური ურთიერთობათა უკულმართობა.

ეს საერთო ხასიათის დებულებები გვიადვილებენ ჩვენ „გაზ"-ის შეფასებას და მის მნიშვნელობას თეატრისათვის. ამ მხრივ უფრო მკაფიოდ აქვს თავისი აზრი გამოთქმული ა. ვ. ლუნაჩარსკის, რომელიც სწერს ექსპრესიონისტთა შესახებ: „და ექსპრესიონისტებს ჰგონიათ, რომ ამით იგინი ახალ ჰორიზონტებს ჰქმნიან თეატრისათვის;..."

ჩვენს სცენაზე „გაზ"-ის დადგმა კ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის. ყოველ ეჭვს გარეშეა, საერთო იერი ნაწარმოებისა სავსებით დაცულია რეჟისორის მიერ. ხაზგასმით აღნიშნულია ის სქემატიურობა, რომელიც შეადგენს „გაზ-"ის მთავარ თვისებას. მაგრამ რამდენადაც მძაფრია და ძლიერი პირველი მოქმედება, რამდენადაც დაჭიმულია ყოველი კუნთი და ნებისყოფა მსახიობისა, რაიც რეჟისორის უსათუოდ ჯაფას და შრომას უნდა მიეწეროს, იმდენადვე აკლია ასეთივე ექსტენსიობა დანარჩენ მოქმედებებს. ეს მით უფრო საგრძნობია და მით უფრო ემჩნევა წარმოდგენას, რომ თავისთავად პირველი მოქმედება თითქმის სავსებით სწურავს ყოველგვარ სცენიურ შესაძლებლობას სათანადო ეფექტის მოსახდენად (მოკლე წინადადებანი, ერთგვარი იდუმალობა, უბედურობის მოლოდინი, აფეთქება გულის შემზარავი და სხვადასხვა) და პირველი მოქმედების შემდეგ უკვე მოდუნებულ გულისყურს უფრო მეტი სიმძლავრე ესაჭიროება, რომ პირველ მოქმედების შთაბეჭდილება არ გაჰქრეს.

ალბათ, ის გარემოებაც, რომ მესამე მოქმედებიდან ამოღებულია მთელი სურათი შავებში გამოწყობილ ადამიანთა ყრილობისა და მთელი ეს მოქმედება განაწილებულია სხვა მოქმედებათა შორის, ესეც იმ მოსაზრებით არის გამოწვეული, რომ შთაბეჭდილება არ გაუწყლდეს. არა გვგონია კი, რომ ეს თავის მიზანს აღწევდეს: ამ გზითაც ვერა ეშველება რა იქ, სადაც მსმენელი უკვე პირველი და მეორე მოქმედების შემდეგ დაღლილობასა ჰგრძნობს უაღრესი სქემატიურობით და განუწყვეტელი ტელეგრაფიული ბასით.

მეორე მხრივ, პიესას ჩამატებული აქვს ბოლოში ჯგუფური სურათი სიმღერით, რაიც ავტორს სრულიადაც არა აქვს ნახსენები თავის ნაწარმოებში. ესეც ალბათ სურათის და მთელი მოქმედების გამოსაცოცხლებლად არის. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, ეს სურათიც მიზანს ვერ აღწევს: ისე ბედშავად, ისე საბრალოდ არის იგი შეთხზული, ისე არ შეეფერება მთელს იერს პიესისა, რომ მარტოოდენ განცვიფრებას იწვევს მსმენელში. აღტაცებაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს.

აღმსრულებელთ კარგი გაწაფვა ეტყობოდათ ამსაღამოსაც, თუმცა ეს გაწაფვა მათ ბოლომდე ვერ გაატანეს. რამდენადაც მტკიცე იყო ყოველი ნაბიჯი და მოქმედება აღმსრულებლებისა პირველ მოქმედებაში, იმდენად თანდათან სუსტდებოდა ეს ნებისყოფა ბოლოს და დასასრულს სცენაზე ერთგვარი უხერხულობაც კი შეიქნა დიდი პაუზის მეოხებით.*)

**პარდონ**

*) აღმსრულებელ მსახიობათა შესახებ იხ. შემდეგ №-ში.
რედ.

# მარო მდივანი

(მისი 25 წლის ნამოღვაწევის იუბილეს გამო)

რევოლიუციის აზვირთებამ შეუბრალებლად დაამსხვრია ძველი კერპები.

მე-12 საუკუნეში დიდი შოთას მიერ ნათქვამი სიტყვები:

„ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია“,—

თითქოს განხორციელებული უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

საქართველოს სოფლებში მამაკაცის დანახვაზე ქალი დღესაც პირს ივუთნის, ერიდება.

ეს ჩვეულება ჩვენში ძველთა ძველია, რომელიც სულმნათ შოთას აგიტაციამ და ვერც დიდმა რევოლიუციამ ვერ აღმოფხვრა.

თუ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს დღეს, ადვილი წარმოსადგენია როგორი სულიერი სიმტკიცე და საქმისადმი გატაცებული სიყვარული უნდა ჰქონოდა მანდილოსანთა იმ თაობას, რომლებმაც გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლებები, ანგარიში არ გაუწიეს პირადი მეობის გარშემო ატეხილ განგაშს („სცენაზე რომ ქალი გამოვა, იმის პატიოსან ოჯახში შეშვება როგორ შეიძლებაო“ ამბობდენ მაშინ და ბევრგან იტყვიან დღესაც) და ხელოვნების სამსხვერპლოზე დაიწვენ.

ამ საპატიო თაობის ერთი მანათობელთაგანი არის მარო მდივანი, რომელიც მეოთხედი საუკუნე ატარებს უმძიმეს უღელს ქართველი მსახიობისას.

* *
*

მცირერიცხოვანი ერის კულტურული მუშაკნი ყოველთვის დიდ სივიწროეს განიცდიან.

თითოეულ..ს ვრიქონს ქართველი მწერალი სისხლის წვეთებით სწერს.

თითოეულ სიტყვას ქართველი მსახიობი სიმშილის აჩრდილთა ხვეულებში ლაპარაკობს...

რეაქციის კლანჭებში ქართველი ხელოვნება და ქართველი ხელოვანი უაღრეს ტრაგედიას განიცდიდენ.

ამ დროს უხდება მაროსაც მელპომენის თაყვანისცემა, მაგრამ მისმა მტკიცე ნებისყოფამ დასძლია ყოველგვარი შეუძლებლობა და მოვიდა დღემდე.

მაროს დებიუტი 1899 წელში დამთავრდა ახალგაზრდა მსახიობის სრული გამარჯვებით; მისი პირველი მასწავლებელი იყო ქართული თეატრის სიამაყე—ლადო მესხიშვილი.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ლადო უნიჭო ადამიანს არ მოკიდებდა ხელს: თუ ახალგაზრდაში არ იყო სიცოცხლე და ხალისი—ლადო გვერდითაც არ გაიკარებდა.

ჩვენი მარო პირველად ლადომ გამოიყვანა ქუთაისის სცენაზე და მის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში არ არის უმნიშვნელო დაბაც-კი, სადაც მაროს არ დაენთოს ხელოვნების ცეცხლი. მისი მთავარი ამპლუა არის ინჟენიუ—კომიკური როლები და თუ ტასო აბაშიძე აცოცხლებდა საქართველოს ცენტრს, მარო მდივანი აღვიძებდა პროვინციას.

განსაკუთრებული ნებისყოფით უნდა იყო დაჯილდოებული, ხალხისადმი სიყვარულით აღსავსე, რომ 25 წელიწადი პროვინციიდან პროვინციაში გადადიოდე და არ მოგეწყინოს „კომედიანჩიკობა“, ამზადებდე და ანვითარებდე იმ ხალხს, რომელიც შენს სცენაზე გამოსვლას „საქვეყნო ქალის“ სახელით ნათლავს.

მარო მდივანი თავისი ცეცხლოვანი თვალებით ყოველთვის უაღრეს განიცდის მელპომენის სიძლიერეს.

მისი „გაიანე“, „ოლოლ“, „ჯიბგირი“ და სხ. მრავალი სახე ყოველთვის უკვდავი იქნება მაყურებელთა ხსოვნაში.

მაროს ნამდვილი არტისტიული ნიჭით ქრისტინეს განსახიერება ყოველთვის გამოიწვევს ცრემლთა დენას, მაროს ცქრიალა გაიანე ყოველთვის იყო სიცილის დაუსრულებლობა.

მაროს მოღვაწეობა იმიტომ უფრო არის ღირსშესანიშნავი და დასაფასებელი, რომ 25 წელი იმან გაატარა ხალხში, ფართე მასების თეატრებში, დაწყებული ტფილისის სახალხო თეატრადან გათავებული ბათომის თეატრით.

მარტის ორს იმართება მისი მოღვაწეობის აღსანიშნავი დღე.

მარტის ორს აჭარისტანის მუშათა და გლეხთა მთავრობა უწყობს დღესასწაულს ხალხისათვის დამწვარ ადამიანს.

მარტის ორს საქართველოს ერთი კუთხე დღესასწაულობს ხელოვნების ტრაპეზის წინ მლოცველ მარო მდივანის იუბილეს.

ვაშა მაროს!

ვაშა მის მოღვაწეობას!

**შ. გორისელი**

# ხელოვნება

**(ვუძღვნი ზ. ფალიაშვილს მის ოპერა „დაისი“-ს გამო)**

ხელოვნებამ გამიტაცა, დამატყვევა, დამიმონა:
ის ჰანგები ზეციური მსურდა კიდევ გამეგონა.
მასში იყო ჩაქსოვილი სიყვარული, ნაზი გრძნობა.
ღაღადისი შემომქმედის, სატრფოსათვის სოფლის თმობა.

სურათები მშვენიერი, აკინძული მომხიბვლელი:
მის უკეთესს სხვას რას ნახავს კაცის თვალი უძლომელი!
ვეზიარე ხელოვნებით, დავესწარი ნათლისღებას:
მადლი ვწირე ამგვარ კაცთა გაჩენისთვის თვით განგებას!

**შაქრო ნავთლუღელი**

# ავადმყოფი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი*)

ეს ერთი ხანია ქართველი საზოგადოება ვეღარა ხედავს ტფილისის ქუჩებში გიორგი ქუჩიშვილს.

სად არის იგი?



გიორგი ქუჩიშვილი.

საყვარელი პოეტი ქართველი ხალხის, კერძოდ მუშებისა, იტანჯება დაავადმყოფებული საშინელი სენით.

ავადმყოფი გულიდან სისხლს ანთხევს.

ამ გაპროლეტარებულ პოეტის ტრაგედია მარტო ავადმყოფობა არ არის.

გ. ქუჩიშვილს ჰყავს დაავადმყოფებული ბავშვი, დასუსტებული მეუღლე (ასოთაჰწყობი), რომელიც მუშაობს პოლიგრაფიის მე 5-ე სტამბაში. მასაც უკრძალავენ ექიმები მუშაობას, როგორც სუსტს, მაგრამ რა ჰქნას, რომ არ იმუშაოს? ვინ მოუაროს ავადმყოფ პოეტს, ვინ არჩინოს ბავშვები?

ექიმები, ჩვეულებისამებრ, ავადმყოფებს საკვებად უწერენ ქათამს, კვერცხს, რძეს, კარაქს, თაფლს და სხ. ასეთ ფაქიზ საჭმელებს, მაგრამ ამ საარაკოთ შექმნილ პირობებში ყველაფერი ეს რომელ სალაროდან?

ავადმყოფი პოეტი ამ დღეებში საავადმყოფოდან გამოიყვანეს თავის ნესტიან ბინაში. მთელი ოჯახი—4 სული მოთავსებულია ერთ ოთახში.

განა ასეთი განწირული მდგომარეობა პოეტისა ტრაღედია არ არის?

განა ეს სასჯელს არ უდრის?

მერე რითი დაიმსახურა პოეტმა ასეთი მსჯავრი?

სად არის თანაგრძნობა, თბილი გული, მეგობრული ხელები და, რაც მთავარია, **საზოგადოებრივი მოვალეობა?!**

ქართველებს გვიყვარს მუშაკების დაფასება, ზეიმების მოწყობა, იუბილეებზე მისვლა და უხვი ჯილდოების მიტანა, მაგრამ გ. ქუჩიშვილის, როგორც ხალხური მგოსნის, დღევანდელი ტრაღიკული მდგომარეობა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ქართველ ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ შევისწავლოთ წონასწორობა, რომელიც, სამწუხაროდ, გვაკლია.

იმედია ავადმყოფ პოეტს დაეხმარება, შეძლების და გვარად, ის ხალხი, რომელსაც მთელი თავისი მისწრაფებით ემსახურება გიორგი ქუჩიშვილი; მე სახეში მყავს ქართველი ხალხი და, პირველ ყოვლისა კი, სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭო, რომლის წევრიც არის თვით ავადმყოფი მგოსანი გიორგი ქუჩიშვილი

ასოთამწყობი **დ. მელაშვილი**

*) ეს წერილი, ავადმყოფი პოეტის გ. ქუჩიშვილის შესახებ, მივიღეთ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართულ პრესაში არავითარი ცნობა არ იყო ავადმყოფ პოეტის შესახებ, მაგრამ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებით (ტეხნიკურ დაბრკოლებათა) წარსული კვირის ნომრის გამოუსვლელობის გამო დროით ვერ დავბეჭდეთ.

რედაქცია.

## ფიქრები

მეგობარო, დაიხსომე რასაც გეტყვის ეს სტრიქონი:
ვინც ცხოვრების ზღვას ეყმობა, მას დალეწავს სტიქიონი!

—

თვითვე უნდა ეპყრას ხელში თვისი ყოფნის ფარი, ხმალი,
გამარჯვებაც მუდამ თან სდევს, ვინც სიცოცხლით არის
მალი!

—

ის დაიწნავს დაფნის გვირგვინს, ვინც ირჯება, შრომობს,
წვალობს;
კარგად იცი, რომ ჩვენ დროში თვით ცრემლებსაც
არვინ ჰბრალობს!

—

თავისუფალ ქარტეხილში ბელადობის არის ღირსი,
ვინც ბრძოლაში რაინდობს და სულგრძელია გასაჭირში!.

**მიქელ დიანელი**

## ქ—ს

შენ ატარებდი ვერცხლისფერ მძივებს,
ათამაშებდი მაგ ოქროს ბაგეს.
ძვირფასო ჩემო, მე შენთან მცივა:
მე შენთან შევტრფი ფირუზის ბაღებს..

—

ცრემლებით თვალებს მე დაგისველებ,
გეტყვი: მაჩუქე ერთი ამბორი,—
გავყვეთ ზაფხულის მოქარგულ ველებს
ჩვენ მხოლოდ ორი, ჩვენ მხოლოდ ორი!

—

მიეცი კოცნა დაღალულ პოეტს,
მე ისევ მოვალ ციებით შენთან,—
ო, ნუ წამართმევ წარსულ სიტკბოებს
და ვიმოგზავროთ ქრისტესთან ერთად!..

**ვლ. გველესიანი**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს ბიბლიოთეკა
იოსებ იმედაშვილის გამოცემა

ბ ა რ დ ე ლ ი

არჩილ ჯაჯანაშვილი

# ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა

დ რ ა მ ა 4 მ ო ქ მ ე დ ე ბ ა დ.

## მ ო მ ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

**ლ ე ვ ა ნ ი**, მოქანდაკე.
**ნ ი ნ ო**, ამისი ცოლი.
**ქ ე თ ი ნ ო**, ლევანის ასული.
**ზ უ რ ა ბ ი**, ლევანის ვაჟი.
**თ ა მ ა რ ი**, ლევანის დედა.
**ე ლ ე ნ ე**, ახალგაზრდა ქალი.
**ა რ ჩ ი ლ ი**, ახალგაზრდა კაცი.
**ლ უ ა რ ს ა ბ ი**, ლევანის მეგობარი, აგრონომი.
**მ ს ა ხ უ რ ი.**

(პირველად დაიდგა სახალხო თეატრის სცენაზე ივ. ბარველის რეჟისორობით 1924 წ. იანვრის 18)

## პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

(ლევანის სახლში სასტუმრო ოთახი, საკმაოდ მდიდრულად მორთული: მარჯვნივ დივანი და სავარძლები, მარცხნივ — პიანინო. პირდაპირ კედელზე ქართველი მწერლების სურათები, უკანა პლანის მხარეს კარები გადის დერეფანში, რომელიც ყოველთვის გაშუქებულია და სადაც სარკის წინ მოხუცი მსახური ტრიალებს. იმავე პლანის მარცხენა მხარეს კარები სასადილო ოთახში გადის. გ ღებული კარებიდან მოსჩანს ძვირფასი ბუფეტის შკაფი, თეთრ სუფრა გადაფარებული სასადილო მაგიდა, დიდი მასიური მუხის სკამები და ჭერის ლამფა. მარცხენა მხარეს, პიანინოს იქით, კარები ბავშვების ოთახში გადის.

საღამოა. ფარდის ახდისას სცენაზეა **ლევანი** და **ლუარსაბი**.. ორივენი დივანზე სხედან, პატარა რგვალ მაგიდასთან. ლუარსაბი გაზეთსა კითხულობს, ლევანი ჩაფიქრებული გულხელ-დაკრეფილი. სასადილო ოთახში მაგიდასთან **ზურაბი** და **ქეთინო** სხედან. ქეთინო წიგნსა კითხულობს, ზურაბი ღიმილით დას უცქერის და დროგამოშვებით ღიღინებს).

**ლევანი**. წასვლას როდის აპირებ?

**ლუარსაბი**. (გაზეთს კითხულობს) ამ ცოტა ხანში. საქმეს მოვათავებ და წავალ. სახლ-კარი უპატრონოდ მაქვს დატოვებული.

**ლევ**. (ღიმილით ლუარსაბს აათვალ-ჩაათვალიერებს) სოფლის ფერი დაგდებია. კისერიც როგორ, ჩაგშავებია! ხომ არ მოგბეზრდა?

**ლუარ.** დრო რომ მქონდეს, გიხარიან მალე მომბეზრდება. მაგრამ აი, ყელამდის საქმეში ვზივარ დაფიქრებას ვილა გაცლის? მამლის პირველ ყივილზე ვდგები და საღამომდის ისე ვილლები, მკვდარივით გავიშოტები ხოლმე.

**ლევ**. მაინც კარგა გასძელი. არ მეგონა, თუ სოფელს აგრე შეიყვარებდი.

**ლუარ**. შენი საქმეები როგორღაა? ახალი რამ ხომ არ დაგიწყვია?

**ლევ**. (უცბათ წარბს შეიკრავს, წამოდგება და ოთახში სიარულს დაიწყებს) არაფერი.

**ლუარ.** გამოფენაზე ვიყავი.

**ლევ**. (ჩაფიქრებული საათის ძეწკვს ათამაშებს) როგორ მოგეწონა?

**ლუარ.** ახალი მხატვრები გამოგვჩენია. ძველებიდან თითქმის ვეღარავინა ვნახე. ეტყობა მუშაობენ, ახალ გზებს ეძებენ. ზოგი მათგანი ნიჭიერი უნდა იყოს. შენ კი როგორღაც იგვიანებ. ხომ არ დაიღალე? სახეზედაც როგორღაც კარგათ ვერა ხარ. ცუდს არ იზამ, ცოტა ხანს სოფელში რომ ამოხვიდე. მშვენიერი ამინდია

**ლევ**. ეხლა ამოსვლა გამიჭირდება. დასვენება კი, მართლაც საჭიროა. საშინელ დაღლილობასა ვგრძნობ. რაღაც მოდუნებული ვარ. დასწყევლოს ღმერთმა. ასე მოდუნებული არასოდეს არ ვყოფილვარ.

**ლუარ**. გეტყობა, სახეზედაც გეტყობა. უსათუოდ უნდა დაისვენო, თორემ მუშაობის სიმძიმის ქვეშ წაიბორძიკებ და ადგომა გაგიჭირდება.

(ზურაბი ქეთინოსთან მივა, წიგნს გამოჰგლიჯავს და დახურავს).

**ზურაბი** გეყოფა! რამდენი უნდა იკითხო! თვალები გეტკინება. რა გაშტერებული მიცქერი?

**ქეთინო.** წიგნი მომეცი!

**ზურ.** ნერვები დაიმშვიდეთ, ქალბატონო!

**ქეთ**. ბოროტი ხარ!

**ზურ**. (დაცინვით) შენ კი განხორციელებული სინაზე და სათნოება?

**ლევ**. (წარბებ-შეჭმუხვნილი) სულ ეგრე ჩხუბობენ. (სასადილო ოთახისკენ გაიხედავს) ზურაბ!

**ზურ**. რა გინდა?

**ლევ**. აქ მოდი!

**ზურ.** (სასტუმრო ოთახში გამოვა) რა გინდა?

**ლევ**. ქეთინოს რათ ეჩხუბები?

**ზურ**. როდის ვეჩხუბები?

**ლევ**. ნუ ბუზღუნებ!

**ზურ**. კი არა ვბუზღუნებ, ვლაპარაკობ.

**ლევ**. მაგნაირ ლაპარაკს ბუზღუნს უძახიან.

**ზურ.** რა ვქნა მერე!

**ლევ.** (ხმას აიმაღლებს). ის უნდა ჰქნა, რომ მაგნაირ ლაპარაკს და მით უფრო მაგნაირ პასუხებს გადაეჩვიო.

**ზურ.** ჩემი ბრალი ხომ არ არის, ამისთანა კილო რომ მაქვს. მერრეთ ხომ ვერ დავიბადები? როგორიცა ვარ—ვარ!

**ლევ.** (ხელს ჩაიქნევს) შენთან ლაპარაკს წყლის ნაყვა სჯობიან. წადი და ნულარ იჩხუბებ.

**ზურ.** (სასადილო ოთახისკენ მიდის ბუზღუნით) ნუ ჩხუბობ! როდისა ვჩხუბობ! გახუმრება აღარ შეიძლება? (ქეთინოს) რა თავი მოიკატუნე! აბა, სთქვი, როდის გეჩხუბე!

**ლევ.** ზურაბ! კარგი, კმარა!

**ზურ.** (ქეთინოს ხელიდან წიგნს გამოსტაცებს) აბა ეხლაც წაიკითხე! (გადის)

**ქეთ.** ბოროტი, ბოროტი! (უკან გაჰყვება)

**ზურ.** (ისმის სცენის გარედან) შენ ხომ ანგელოზი ხარ!

**ქეთ.** (სცენის გარედან) თავი დამანებე! (პაუზა)

**ლევ.** ესეც შენი ახალი თაობა.

**ლუარ.** (ღიმილით) რას გააწყობ. დროა ისეთი. (წამოდგება)

**ლევ.** სად მიეშურები?

**ლუარ.** საქმე მაქვს.

**ლევ.** სოფელში ისე კი არ წახვიდე, არა გვნახო.

**ლუარ.** შემოვივლი. ხომ არაფერს დამავალებ?

**ლევ.** მე არაფერი მაქვს დასაბარებელი. ცოტა სახლის ფიქრი მქონდა. უკანა კედელი როგორღაც გარღვეულია, დამაგრება უნდა. მაგრამ ამაზე ჩემს ცოლს მოელაპარაკე. იმან იცის... მე... ერთი სიტყვით ჩემს ცოლს მოელაპარაკე.

**ლუარ.** კარგი, კარგი. საიმისო კი არაფერია. ყველაფერი თავის დროზე კეთდება. თვალ-ყური მიჭირავს.

**ლევ.** (ღიმილით) შენ ჩემი სახლის ბურჯი ხარ, ლუარსაბ, ბურჯი.

**ლუარ.** (დარცხვენით) ბურჯი, თორემ უჩემოდ დაიღუპებოდი! აბა ნახვამდის.

**ლევ.** ნახვამდის, ჩემო ლუარსაბ!

**ლუარ.** (კარებიდან) დასასვენებლად ამოდი. ცუდ ფერზე ხარ. (გადის)

(სცენის გარედ ისმის ზურაბის სიცილი და თამარის ხმა: „შე გიჟო, შენა“)

**ზურ.** (ბლლაძუნით თამარი შემოჰყავს და თან მღერის) „მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს ხოხობი, კაკაბი“.

**თამარი.** კაკაბი კი არა, ხოხობი, შვილო, ხოხობი.

**ზურ.** სულერთია, ბებო. გინდა კაკაბი იყოს, გინდა ხოხობი, ორთავეს გემრიელათ გიახლებით.

**თამ.** მაინც სჯობიან, სწორედ იმღერო.

**ზურ.** აბა მაშ როგორ უნდა?

**თამ.** მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს მამალი ხოხობი, მამალი ხოხობი და არა კაკაბი, ხოხობი.

**ზურ.** (ტუჩებზე ხელს მიიფარებს, თამარს აჯავრებს) უი, დამიდგეს თვალები, ბებო ეგ რა სთქვი. შენ ხომ მამალი არა ხარ?

**თამ.** (ლოყაში ალერსით ხელს დაჰკრავს) შე გიჟო, შენა!

(მთელი შემდეგი სცენის დროს ლევანი დივანზე ზის და კმაყოფილი ღიმილით ზურაბსა და თამარს უცქერის)

**ზურ.** ბებო, იცი მართლა ვინ მოგიკითხა. აბა, თუ გამოიცნობ.

**თამ.** როგორ უნდა გამოვიცნო, შვილო, გულთმისანი ხომ არა ვარ.

**ზურ.** მაინც ვინ იქნება, როგორ გგონია?

**თამ.** (ღიმილით) ღმერთმანი ვერ მომისაზრებია, შვილო, დავბერდი და აღარ მაგონდება.

**ზურ.** ვერ გამოიცანი? გი... გი...

**თამ.** გიორგი.

**ზურ.** ჰო, გიორგი.

**თამ.** აი ის გიჟი, ისა.

**ზურ.** გახსოვს, ბებო, წინდის ჩხირები რომ წააგო. ეხლა უყიდია და დიდის ამბით უნდა მოგართვას, თურმე.

**თამ.** წინდის ჩხირები რაღად მინდა, შვილო! თვალთ დამაკლდა, ველარაფერსა ვხედავ. დავბერდი, შვილო!

**ზურ.** შეგიძლიან სხვა საჩუქარი მოსთხოვო. გიორგი ეხლა მდიდარი კაცია და საჩუქარზე არ დაგზარდება. უთხარი თოფი გიყიდოს, ბებო.

**თამ.** (გაკვირვებული) თოფი!

**ზურ.** კაკბებსა და ხოხბებს დაგიხოცავ.

**თამ.** საჩუქარი შენთვის გდომებია, შე, გიჟო, შენა.

**ზურ.** ჩემთვის კი არა! აბა, მე თოფი რათ მინდა. გახსოვს ბებო, ნარდს რომ გეთამაშებოდა და გიგებდა?

**თამ.** (ცოცხლად) მატყუებდა, შვილო, სულ მატყუებდა.

**ზურ.** როგორ იყო ბებო! (ნარდს თამარის წინ სკამზე გაშლის და დაიწყებს თამაშობას) დუ შაშ! (თამარის მაგივრად). დუ შაში კია, ბიჭო! (გიორგის მაგივრად) ხიარების მადლმა დუ შაშია, ბებო! აბა, უყურე! (კამათელს თვალებთან მიუტანს) დუ შაში არ არის? (თამარის მაგივრად) კარგი, გიჟო, კარგი. (გიორგის მაგივრად) დუ შაშ! (თამარის მაგივრად) ქა! ამდენი დუ შაში ერთბაშათ გაგონილა! მატყუებ, ბიჭო. (გიორგის მაგივრად) ხიარების მადლმა, არ გატყუებ, ბებო, აბა, მოტყუება როგორ შეიძლება, ფულზე ვთამაშობთ, ხომ არა ვხუმრობთ. (თამარის მაგიერად კამათელს ჰყრის, ერთბაშათ ხელს წაავლებს და დამალავს) დამანახვე ბიჭო, ვერ დავინახე. (გიორგის მაგიერად) დუ იაქე იყო, ბებო. (თამარის მაგივრად) რა ვქნა თითქოს ისე დავინახე, ჩარუ სე იყო. (გიორგის მაგიერად კამათელს დაალაგებს) აჰა ბებო, ეს ჩარუ სეა. ნამდვილი დუ იაქეა, პირწავარდნილი დუ იაქე! (თამარის მაგიერად) მაინც შენი უნდა გაიყვანო.

**თამ.** (იცინის) გიჟი ხარ, ბიჭო, გიჟი, და რა უნდა ვქნა!

**ლევ.** (გამხიარებული) ის როგორღა იყო, ზურაბ, ბებიები „იწილო-ბიწილო“-ს რომ თამაშობდნენ!

**ზურ.** როგორ არ მახსოვს. შენ არ გახსოვს, ბებო?

**თამ.** არა შვილო, არ მახსოვს. რა ვქნა, დავბერდი.

**ზურ.** (სიტყვას გააწყვეტინებს და ბებოს მოეხვევა) როგორ არ გახსოვს, ბებო, შენ ხომ ქართლელი ხარ, გიორგის ბებია სომეხია და ნინოს ბებია—იმერელი. ხო და

აი, სამივენი მაგიდასთან ისხედით და „იწილო-ბიწილო“-ს თამაშობდით.

**თამ.** (გაოცებული) ტყუილია, შვილო, ტყუილი. ეგ იმ გიჟი, დამთხვეული გიორგის მოგონილია.

**ზურ.** კარგი, კარგი, ბებო! ვითომ თამაშობდით. წარმოვიდგინოთ თამაშობდით. ხო და აი, სამივენი ბუხართან ისხედით და „იწილო-ბიწილო“-ს თამაშობდით. ჯერ გიორგის ბებიამ დაიწყო: „იწილო, ვა! ბიწილო, ვა! შროშანო, ვა! გვრიტიკო, ვა!“. მერე ნინოს ბებიამ განაგრძო: „იწილო-თქვა, ბიწილო-თქვა, შროშანო-თქვა, გვრიტიკო თქვა!“. სულ ბოლოს ჩემმა ბებიამ გაითამაშა: „იწილო-ბეჩა, ბიწილო-ბეჩა, შროშანო-ბეჩა, გვრიტიკო-ბეჩა!“ (ყველანი იცინიან).

(ამ დროს სასადილო ოთახიდან შემოდის **ნინო**. ზამთრის პალტო აცვია და შლიაპა ხურავს. უკან **არჩილი** მოსდევს. საუცხოვოდ, ევროპიელის გემოვნებით შეკერილი პალტო აცვია. შლიაპა ხელში უჭირავს. ცალი ხელით ხელთათმანებს იხდის, პენსნეს ატარებს. სცენაზე ნინოსა და არჩილის შემოსვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდება).

**ნინო** (ცოტა ხანს შეჩერდება. ლევანს, ზურაბსა და თამარს გადახედავს. შემდეგ არჩილს მიუბრუნდება) მობრძანდით! (ლევანს) მსახურს დაუძახე.

**ლევ.** (კარებთან მივა) დიმიტრი.

**ნინო.** (არჩილს) მობრძანდით, მობრძანდით.

**მსახური.** (შემოდის) რას ბიბრძანებთ?

**ნინო.** პალტო ჩამოართვი. (თითონაც პალტოს გაიხდის და მსახურს გადასცემს).

**არჩილი.** (პალტოს მსახურს გადასცემს და მიესალმება ჯერ თამარს, მერე ლევანს. ზურაბს თავს შორიდან უკრავს) როგორ გიკითხოთ.

**ნინო.** (ზურაბს) წადით.

(ზურაბი ჩუმად გავა. მას ხმა ამოუღებლივ თამარი გაჰყვება).

**არჩ.** (პენსნეს მოიხსნის და ხელსახოცით წმენდას დაიწყებს) დღეს აცივდა, დიახ, საკმაოდ აცივდა.

**ნინო.** აქეთ მობრძანდით, მანდ მგონია, უბერავს: პირდაპირ დერეფანია.

**არჩ.** (მეორე მხარეს გადაჯდება) არა უშავს რა, მე მაგარი აგებულების კაცი ვარ, დიახ, საკმაოდ მაგარი აგებულების კაცი ვარ. წარმოიდგინეთ, ბავშვობიდანვე ასეთი ჯანი ამყვა. მე რომ დავბადებულვარ, ბებია ქალს გაოცებით დაუყვირია, ეს ბუთხუზა ნამდვილათ დევ-გმირი გამოვაო! (იცინის) დიახ. ასე ყოფილა. ბებია ქალის წინასწარმეტყველობა საკმაოდ გამართლდა, დიახ, საკმაოდ გამართლდა. როგორც ხედავთ, საკმაოდ ჯანსაღი.

**ლევ.** (გულხელ-დაკრეფილი არჩილს ღიმილით უცქერის) მართალია. მაგ შემთხვევაში ბედს ვერ დაემდურებით.

**ნინო.** ვარჯიშობაც გიშველიდათ. თქვენ ხომ გატაცებული სპორტსმენი ბრძანდებით, ბატონო არჩილ. ხომ გახსოვთ, ველოსიპედით, ავტომობილს რომ გამოეკიდეთ. როგორ შემეშინდა! დროზე რომ არ გაჩერებულიყავით, ავტომობილი დაგეჯახებოდათ და გაგჭყლეტავდათ.

**არჩ.** (იცინის) და კაცობრიობასაც დააკლდებოდა კიდევ ერთი შესაძლებლობა შთამომავლობის გაგრძელებისა. (ლევანს სერიოზული კილოთი) მე სპორტსმენიც გახლავართ, დიახ, შესანიშნავი სპორტსმენი. ეხლანდელი თაობა სპორტს გაურბის და, უნდა მოგახსენოთ, ძალიან ცუდათაც იქცევა, დიახ, ძალიან ცუდათ იქცევა. რომელიღაც ფილოსოფოსი ამბობს, ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეიძლება იჯდესო.

**ლევ.** (მკრთალი გამოხატული ირონიით) ო, სული ისეთი მოუსვენარი რამ არის, რომ ყოველნაირ სხეულში ჩაჯდება.

**არჩ.** (ირონიას ვერ ამჩნევს) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! თუ საკითხს, ასე ვსთქვათ, ფილოსოფიურად მიუდგებით, მაშინ თქვენ მართალი იქნებით.

**ნინო.** (ლევანის ირონიას ამჩნევს. მკვახედ) ქეთინო სად არის?

**ლევ.** ეხლახან აქ იყო. ალბათ თავის ოთახში თუ არის, წიგნსა კითხულობს.

**ნინო.** (არჩილს) ლევანი ხშირად სუსტ სხეულშიაც ჰხედავს ჯანსაღ სულსა და განსაკუთრებულ კეთილშობილებას.

**ლევ.** (წარბ-შეკრული. მცირე პაუზის შემდეგ) რა გინდა მაგითი სთქვა?

**ნინო.** (ირონიული ღიმილით). არაფერი!

**ლევ.** დღეს როგორღაც ცუდ გუნებაზე ხარ. (წასვლას დააპირებს).

**ნინო.** სად მიდიხარ?

**ლევ.** რა გინდა?

**ნინო.** აქ იყავი. (დივანზე მიუთითებს) დაჯექი!

(ლევანი დაღონებული გამობრუნდება, დივანზე დაჯდება და გაზეთის კითხვას დაიწყებს).

**არჩ.** (მცირე პაუზის შემდეგ წამოდგება ყოყმანით) ქალბატონო ნინო, თუ ნებას მომცემთ... დიახ... როდისმე სხვა დროს შემოვივლი... დიახ... ეხლა კი ნება მიბოძეთ...

**ნინო.** (ენერგიულათ) არსად წახვალთ. დაბრძანდით.

**არჩ.** (ღიმილით) ღმერთმანი. სხვა დროს როდისმე, დიახ როდისმე, სხვა დროს...

**ნინო.** დაბრძანდით-მეთქი. (ლევანს აღელვებულის ხმით) გაზეთის კითხვა სხვა დროსაც შეიძლება.

**ლევ.** მე კი ეხლა მინდა წავიკითხო.

**ნინო.** (ბრაზიანი კილოთი) არჩილს შენთან საქმე აქვს.

**ლევ.** (გაკვირვებული) ჩემთან?

**არჩ.** სხვა დროსაც შეიძლება, ქალბატონო ნინო, დიახ სხვა დროსაც შეიძლება!

**ნინო.** ბატონ არჩილს შენთვის მშვენიერი სიურპრიზი აქვს დამზადებული.

**ლევ.** ჩემთვის?

**ნინო.** უცხოეთიდან ერთი მდიდარი კომერსანტი ჩამოსულა განზრახვა აქვს ბიუსტი შეგიკვეთოს, დიდი ბიუსტი.

**არჩ.** უცხოეთში მოგზაურობის დროს გავიცანი. დიახ მოგზაურობის დროს. შესანიშნავი ადამიანია, ნამდვილი განათლებული ევროპიელი კომერსანტია, დიახ. პოეტებსა და მხატვრებს დიდს დახმარებას უწევს, ხელო-

ვნების დიდი მაყვარულია, მეცენატი. ქართული ხელოვნების ნიმუში ჰსურს წაიღოს. გამოფენაზე თქვენი ქანდაკებანი უნახავს და ძალიან მოსწონებია. დავპირდი, გაგაცნობთ მეთქი.

**ნინო.** ფასსაც დიდს იძლევა თურმე.

**არჩ.** ას თუმანზე ნაკლებს არ მოგცემთ. მაგრამ თუ მოეწონა, საჩუქრებით ყელამდის აგავსებთ, დიახ. შესანიშნავი ადამიანია. ფული სულ არ ენანება. ჩვენებური კომერსანტი არ გეგონოთ, დიახ, ფულს რომ კრუხივით აზის. ევროპიელია, დიახ, განათლებული ევროპიელი!

**ლევ.** დახმარებისა და თანაგრძნობისათვის დიდ მადლობას გწირავთ. ბიუსტის დაკვეთაზე კი, მგონია, უარს ვიტყვი.

**არჩ.** (გაკვირვებული ნინოს გადახედავს) ეგ კი თქვენი ნებაა, დიახ, თქვენი ნებაა. ძალით სამუშაოს თავზე ვერავინ მოგახვევთ. დიახ. მე მხოლოდ ქალბატონ ნინოს თხოვნა შევასრულე. პირადათ კარგათ ვიცნობ, დიახ, ევროპაში კომერსანტების წრეში ვტრიალებდი, დიახ, და მაშინ დაუახლოვდი. ქალბატონმა ნინომ მთხოვა, დამეხმარეთო და მეც დავეხმარე.

**ლევ.** თქვენს კეთილ განზრახვაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ მაინც უარს ვამბობ.

**ნინო.** როგორ თუ უარს!

**ლევ.** აღარ შემიძლიან. (მტკიცედ) არა მცალიან.

**არჩ.** იმას არ ეჩქარება. შეიძლება ორი-სამი კვირის შემდეგაც დაიწყოთ. აქ დიდხანსა რჩება.

**ნინო.** იმას არ ეჩქარება, მაგრამ მე მეჩქარება. (მტკიცედ) გადაეცით კომერსანტს, ბატონო არჩილ, რომ ლევანი სიამოვნებით შეუდგება ბიუსტის გამოქანდაკებას, თუნდაც ხვალინდელი დღიდან. გთხოვთ, სწორედ ასე გადასცეთ. (ლევანს) შეუძლებელია ყოველთვის ისე მოიქცე, როგორც შენა გსურს. ზოგჯერ სხვასაც უნდა გაუწიო ანგარიში.

**ლევ.** ეგ სწორედ შენ უნდა გითხრა.

**ნინო.** მაგაზე ლაპარაკის დრო არ არის.

**არჩ.** (წამოდგება) ეხლა კი წავალ, ქალბატონო ნინო, დიახ, დროა...

**ნინო.** ვერსად წახვალ. როცა დრო იქნება, მე თითონ გაგანთავისუფლებთ. მინდა გზაში დაწყებული და შეწყვეტილი ბაასი განვაგრძოთ. მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ თქვენი უძვირფასესი მეგობრის ცოლი იმდენათ ლამაზი არ არის, რამდენადაც მიმზიდველი თავისი, ასე ვთქვათ, გიჟური ყოფა-ქცევით. დროზე კეკლუცად მოქნეული მკლავი და თამამი შეხედვა არა ერთსა და ორს ვაჟკაცს დაიმორჩილებს. მით უფრო მაშინ, როდესაც ამ მკვლავისა და თვალების პატრონს ჯერ ოცი წელიწადიც არ შეჰსრულებია

**არჩ.** რა თქმა უნდა, მაგასაც აქვს მნიშვნელობა. დიახ. ახალგაზრდა ქალი, თვრამეტი წლის ქალი. დიახ, შესანიშნავი რამ არის თვრამეტი წლის ქალი! მაგრამ წლოვანება აქ არაფერს შუაშია. ზოგჯერ ორმოცი წლის ქალი უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელია, ვიდრე ოცი წლისა. (ლევანი გაკვირვებით არჩილს შეხედავს, აათვალჩაათვალიერებს და გაზეთის კითხვას განაგრძობს) რა თქმა უნდა, დამსწრეთა შესახებ არ მოგახსენებთ.

**ნინო.** (იცინის) ეგ გადამეტებული სიცრუე იქნებოდა, არა?

**არჩ.** (დარცხვენილი) მე ეგ არ მინდოდა მეთქვა, ქალბატონო ნინო. საზოგადოდ, დიახ, საზოგადოდ ზოგჯერ ორმოცი წლის ქალი უფრო მიმზიდველია და მომხიბვლელია, ვიდრე ოცი წლისა.

**ნინო.** (ღიმილით ლევანს გადახედავს) მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორმოცი წლის ქალი შენი ცოლი არ არის.

**არჩ.** ზოგჯერ ოცი წლის ცოლიცა ჰკარგავს თავის მიმზიდველობას, დიახ. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, დიახ, საკმაოდ უდავო ჭეშმარიტება როგორც ის, რომ ერთნაირი საჭმელი, რაც უნდა გემრიელი იყოს, მაინც მოსაბეზრებელია.

**ნინო.** საკვირველია, ღმერთმანი. რათა გგონიათ, რომ ცოლისთვისაც მოსაბეზრებელი არ არის ერთგვარობა. განვითარებული გემოვნება თქვენი მამაკაცების უპირატესობას ხომ არ შეადგენს. (ლევანს გადახედავს) თუ თქვენ შეგიძლიანთ მოსძებნოთ სულის მესაიდუმლე, აღფრთოვანებული და აღტაცებული მეგობარი, რომელსაც ზოგჯერ იმასაც ვერ ამჩნევთ, რომ პირდაუბანელი დადის....

**ლევ.** (წამოდგება და ოთახში სიარულს დაიწყებს) რამდენჯერაც მამა-კიცი ცოლს პირდაუბანელს დაინახავს, იმდენჯერ შენისთანა მძულვარებით რომ აღინთოს, ცოლ-ქმრობაც შეუძლებელი იქნებოდა.

**ნინო.** შენ ყოველ შემთხვევაში ნასიამოვნები დარჩებოდი.

**ლევ.** ეგ კიდევ საკითხავია, ჩვენს შორის რომელი უფრო ნასიამოვნები დარჩებოდა.

**ნინო.** ალბათ ის, ვის წინაშეც უკვე გადაშლილია თვალწარმტაცი სურათი განახლებული გრძნობისა.

**ლევ.** თუ ის, ვინც გრძნობის გასაახლებლად ხავსს ეკიდება.

**ნინო.** (თვალებში კმაყოფილი ღიმილი გაუთამაშებს. მხიარულად) ვინ იცის, რომელი მათგანია ხავსი.

**ლევ.** (დივანზე დაჯდება და გაზეთს კითხვას განაგრძობს) მაგასაც თუ ვერ ხედავ...

**ნინო.** (არჩილს) აი თქვენ რომ ცოლს შეირთავთ...

**არჩ.** (სიტყვას გააწყვეტინებს) ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა დამიფაროს! ცოლი! მე და ცოლი! ნავთი და ცეცხლი იქნება, დიახ, ნამდვილი ნავთი და ცეცხლი. საშინლად მომწონს ეს შედარება, დიახ, ძალიან მომწონს. უცხოეთში მე პოეტების წრეში ვტრიალებდი, დიახ, პოეტებფს წრეში. ერთი ნაცნობი პოეტი მყავდა და პირველად ეს შედარება იმან იხმარა. წარმოიდგინეთ, რა მშვენიერი შედარებაა. ნავთი და ცეცხლი. მაშინვე თვალწინ წარმოგიდგებათ აფეთქება, ბუჰ!... აფეთქება. შესანიშნავი შედარებაა. ცოლი კი ღმერთმა დამიფაროს! (ხელებს გაატატანებს)

**ნინო.** თქვენ ლამაზი ცისფერი თვალები გაქვთ, მშვენიერი თმა, სუფთა სახე, მომხიბვლელი მოპყრობა და თავაზიანობა, რაც ქალებს განსაკუთრებით მოსწონთ. მე რომ საკმაოდ მობერებული არ ვიყო, ასე აშკარად არ შეგაქებდით. ხომ იცით, ქალი არასოდეს არ აქებს იმას, ვინც მოსწონს.

**არჩ.** ეს ისეთი ხოტბა-დიდებაა, რომ გონს ვერ მოვსულვარ, დიახ, გონს ვერ მოვსულვარ.

(გაგრძელება შემდ. გ ნომერში)

# დაბა-სოფლის მოღვაწენი

გიორგი სიხარულიძე ყოველგვარ მშვენიერ ღირსებით დაჯილდოებული, ადრინდელი სოციალისტი, ხალხის წინსვლისა და გაკეთილშობილებისათვის დაუცხრომელი მუშაკი,—დაუფასებელი იყო სასცენო მოღვაწეობის ასპარეზე. იგი რავდენიმე წლის განმავლობაში დაუზარებლად მუშაობდა სამტრედიის თეატრის გასამშვენიერებლად: რეჟისორობდა, სცენარუსობდა, მსახიობდა. ბევრჯერ საკუთარ ოჯახიდან ეზიდებოდა სხვადასხვა ნივთებს სცენის მოსართავად და სხ. ერთხელ ვკითხე:

— გიორგი, სანამდი უნდა ჰზიდოთ თქვენი ოჯახიდან რაც სცენას დასჭირდება მეთქი?

— მანამ, სანამ საჭირო იქნება... სანამ თეატრს არ ექნება საშუალება შეიძინოს ყოველივე. თვითეული სცენისმოყვარე მოვალეა იზრუნოს ამაზე. არა კმარა მარტო როლი შეისწავლო, საჭიროა მისი წარმოსადგენი პირობებიც შეჰქმნა. ძნელია? -შეგნებული მოქალაქის მოვალეობა ის არის სიძნელე დასძლიოსო.



გიორგი მახ. სიხარულიძე

(† 1923 წ.)

შეხეთ მის სახეს, სიკეთით სავსეს,
სათნო გრძნობებით გაბრწყინებულსა;
თუ არა მხეცი,- ადამიანი
მას მოსაკლავად ახლებდა ხელსა?!...

ცოტას მთქმელი—ბევრის მქმნელი იყო ჩვენი გოგი: ცოტა იცხოვრა—ბევრი გააკეთა,—ათასჯერ მეტს მოელოდა მისგან ხალხი, მაგრამ ეს აღარ დასცალდა: 1923 წ. თებერვლის 19 სამტრედიის მახლობლად ნადირობის დროს ადამიანის სახით მოვლენილმა მხეცებმა ტბაში ჩაალჩრეს.

და ამით ბოროტმა ადამიანებმა დააობლეს არა მხოლოდ მისი ქორფა ცოლ-შვილი, არამედ სამტრედიის საზოგადოება: სამტრედიას აღარა ჰყავს თვისი მოჭირნახულე, ჭირსა და ლხინში ერთგული მეგობარი.

მუხანათ ბოროტმოქმედთ, რომელნიც გოგის დაღუპვით სამტრედიას უმტრეს, ხალხი წყევა-კრულვით იხსენიებს, ხოლო ჩვენი ძვირფასი გოგიას ხსოვნა კი შარავანდედით შეიმოსება.

კლავდია გაბუნია.

## გიორგი მახარობელის ძე სიხარულიძე

დღეს, როდესაც ჩვენი პროვინცია დაცალიერებულია კულტურული ძალებისაგან და ყველა სატახტო ქალაქში ეწყობა, ასეთ პირობებში ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს სერიოზული ინტელიგენტი პროვინციალურ ქალაქში, რომელიც სხვადასხვა კულტურულ დარგში მუშაობით ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ასეთ იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა ქ. სამტრედიაში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ძველი რევოლიუციონერი გიორგი სიხარულიძე.

ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ შრომობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. არ არსებობს არცერთი კულტურული ორგანიზაცია, რომელიც მის მიერ არ იყოს დაარსებული: წერაკითხვის ადგილობრივი განყოფილება, თეატრის აგება, სკოლის აგება,- ყოველთვის და ყოველივეში ის იყო ხელმძღვანელი და ინიციატორი.

სრულიად სამართლიანად ნიშნად ამ მრავალფეროვან და ნაყოფიერ შრომისა დაიმსახურა საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა.

პირველი განმანთავისუფლებელი რევოლიუციის დროს, როდესაც ევროპაში იყო უმაღლეს სასწავლებელში, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად შვეიცარიიდან შემოიტანა გემით იარაღი, რომელიც აჯანყებულ ხალხის დასახმარებლად იყო გამზადებული.

მართალია 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ სამუდამოდ მოეწყო პროვინციაში საცხოვრებლად, მაგრამ თავის რევოლიუციონერობაზე ხელი არ აუღია და მთელი თავისი შესაძლებლობით ხელს უწყობდა ხალხის განთავისუფლებას.

და თუ კულტურული მუშაობაც ერთგვარი საშუალება არის საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თუ ამ მიმართულებითაც შესაძლებელია გამანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება,—უნდა ითქვას: გიორგი სიხარულიძის მუშაობა ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი იყო და თანაც ამ დარგში მას მეტოქე არა ჰყოლია. ადვილი არ არის საუკუნის ერთ მეხუთედის განმავლობაში ხელმძღვანელობდე თუ გინდ ისეთ პატარა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორიც იყო სამტრედია. უკანასკნელ ხანობამდე იგი ჩვეულებრივის აღფრთოვანებით განაგრძობდა ხალხის სამსახურს და ის დიდი გეგმა, რომელიც სამტრედიამ დაისახა გასაბჭოების შემდეგ, როგორც არის გიმნაზიის შენობის აგება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ საქმის ხელმძღვანელობა მთლიანად მას მიანდო. მიუხედავათ პარტიული დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამტრედიაში, სადაც სოც.-დემ. მასა ძლიერი იყო, ხოლო განსვენებული გ. სიხარულიძე ეკუთვნოდა სოც. ფედ., მიუხედავად ამისა, იგი გამონაკლისი პიროვნება იყო, რომელსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც კი განსაკუთრებულ პატივს სცემდენ, როგორც სერიოზულ პიროვნებას, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება კი საერთოდ მისი რჩევითა და დარიგებით მუდამ სარგებლობდა.

იშვიათი კეთილი და დარბაისელი ბუნებით, მცოდნე და დაკვირვებული საზოგადოებრივ საქმეებში,—აივინ დაკარგა სამტრედიის საზოგადოებამ.

და სრულიად სამართლიანი იყო საზოგადოების აღშფოთება, როდესაც გასულ წელს, თებერვლის 19, ნადირობის დროს მდ. რიონის პირად რამოდენიმე ბოროტმა პირმა ვერაგულად წყალში ჩაალრჩო ეს საზოგადოებისათვის ფასდაუდებელი პიროვნება.

ადგილობრივი საზოგადოება დღესაც არ არის დაწყნარებული, ვინაიდან მართმსაჯულებამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო ამ ბოროტმოქმედების კვალის აღმოჩენა. საუკუნის ერთი მეხუთედის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომლითაც განსვენებულმა დაიმსახურა დიდი პატივისცემა და სიყვარული, ავალებს საბჭოთა ხელისუფლებას მიიღოს ყოველივე ზომები, რათა აღმოჩენილ იქმნან ბოროტმომქმედნი და ის ეჭვები, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებენ განსვენებულის ჩირქის მოსაცხებად, ერთხელ და სამუდამოდ განფანტულ იქნეს. ეს იქნება ყველაზე დიდი პატივისცემა განსვენებულისა ნიშნად მისი საზოგადოებრივი მუშაობისა.

**აკ. კალაძე.**

# მოსკოვის ქართული დრამატიული სტუდია

(წერილი მოსკოვიდან,—საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აქ, მოსკოვში, 1923 წ. ენკენისთვეში ცნობილ ვ. ლ. მჭედლიშვილის თაოსნობით დაარსდა ქართული დრამატიული სტუდია. მოგეხსენებათ, აქედან საგანგებოდ ტფილისს ჩამოსულმა კომისიამ ტფ. დრამ. სტუდიის მოწაფეები გამოსცადა; კონკურსზე ბევრმა საუცხოვოდ ჩააბარა გამოცდა. კომისიამ მოინდომა 12 სტუდიელის წამოყვანა, მაგრამ ადგილობრივ სტუდიის დირექციამ მხოლოდ ექვსი დაუთმო: 5 ვაჟი და 1 ქალი, რომელთ შესანახი ხარჯი საქართ. რესპ. მთავრობამ იკისრა. ეს სტუდიელები არიან: 1) გიორგი ჟურული, 2) შალვა სოსლანი, 3) გიორგი ბახტაძე, 4) ნიკო გოძიაშვილი, 5) გრიგოლ სულიაშვილი და 6) ელენე ციხისთავი, ასული სცენის მოყვარისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ციხისთავისა.

მოსკოვის ქართული დრამ. სტუდია მოთავსებულია საუცხოვო შენობაში სრეტენკაზე № 11, რომელსაც ეწოდება საქართველოს კულტურის სახლი (Дом Культуры Грузии). სტუდიაში მოწვეულები არიან საუკეთესო ძალები: ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი, ნ. ვ. დემიდოვი (სამხ. თეატრიდან), ლეონ ვას. ბარათოვი (იქიდანვე), პროფესორი ისტორიისა ალ. კ. ჯივილეგოვი, ალ. წუწუნავა და სხვ.

**ა. ს.**

# ბიბლიოგრაფია

**ლეილა—ი. გრიშაშვილის რედაქტორობით. ფ. 30 კ.**

ქართული სიტყვის ჯადოქარი, მშობლიურობის დარაჯი, გამომცემლობის ერთეული ლაზათი, მირონცხებული მგოსანი,—ეს ი. გრიშაშვილია,—კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, როგორ უნდა გამოიცეს წიგნი, რა გზით წარიმართოს პოეზია, მხატვრული შემოქმედება.

„ქართულ ლექსს ყანდ., ეპარება. ეს დეკადანსი უეჭველად მაღრიბიდან მოდის... უცხო ლიტერატურას პატივს ვსცემთ, მაგრამ არ მინდა ქართული ლექსი სხვის მარქაფად გადაიქცეს... ქართული ლექსი გაცივდა, გაფერმკრთალდა.. ჩვენი მიზანია, მოხდეს დაძმობილება ნიჭსა და ტეხნიკას შორის“-ო.

კრებული შეიცავს პირველხარისხოვან მწერალთა ნაწარმოებთ,—ყოველი ლექსი, ნაქვთი თუ წერილი დახვეწილია, გამართული, სანიმუშო.

თითოეულად არ ვიხილთავთ,—ყოველი მათგანი აუცილებლად ნიჭისა და ცოდნის ნაყოფია: ქართველი მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს და ლეილას მიჯნურს—ი. გრიშაშვილს მადლობას შეუთვლის.

**ი. არიელი.**

**მოქალაქე** (დურუჯელთა მანიფესტის წაკითხვით გაშეშმიშებული)—...ვა! კამეჩებიო!.. ვითამც ესენი არიან?!.



**ვ. გუნია** **ვ. იმხნელი** **ალ. იმედაშვილი** **ვ. აბაშიძე**

(შარჟი მ. ჭიაურელისა).

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი—ომში დაჭრილთა შრომის არტელი **„ახალი წრე“**

# ხელოვნების ქრონიკა

### თეატრი

**სახელმწიფო დრამის თეატრში** მესამედ დაიდგა ახალი პიესა „გზები“, თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა.

**სახალხო თეატრში** ამ მოკლე ხანში დასადგმელად მ. ღვამიჩავა ამზადებს ნ. შიუკაშვილის პიესას „მთის ზღაპარი“-ს და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“-ს. ოიდიპოსის როლს შეასრულებს გ. თაზიშვილი.

**ალ. შანშიაშვილის** ახალი პიესა „სპარტაკი“-ს ამზადებს რეჟისორი ივ. ბარველი. პიესა დაიდგმის სახალხო თეატრის სცენაზე.

**სახ. რეს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან** დაარსდა ქართული დრამატიული კოლექტივი. კოლექტივში შედიან აკადემიურ დრამის და საბავშვო თეატრის მსახიობნი: მ. გელოვანი, ნ. ჯავახიშვილი, შოთაძე, ვ. ბალანჩივაძე, ა. ყორყოლიანი, მარგო, ალექსიძე, ს. ილორელი, ვ. ნასყიდაშვილი, კორინთელი მანონ და როშინ-ჭალიძე. კოლექტივს ხელმძღვანელობს ს. წერეთელი. კოლექტივის მიზანია დასდგას განსაკუთრებით სანიტარული პიესები.

ამ კოლექტივმა თებერ. 7 გამართა ლენინის საღამო. წარმოდგენილ იყო ქართულ ენაზე ქართლ-იმერლის ახალი ინსცენიროვკა „ლენინი მოკვდა“, რუსულ ენაზე დიმოვის ახალი პიესა “Смерт Великаго Вождя“ დრ. 1 მოქ. დამსწრე საზოგადოებას ორივე პიესა მოეწონა. მზადდება სანიტარული პიესები „შხამი“ ნ. დიმოვისა, „საშინელი სენი“ ქართლ-იმერლის და ს. ილორელის „ავადმყოფნი“, დრამა 3 მოქ.

### დრამატურგია

**გარდელის პიესა „ქანდაკება“**, რომელიც დღეიდან ჩვენს ჟურნალში იბეჭდება, რუსულ ენაზე ითარგმნება.

**ივ. გომართელმა დასწერა** ახალი პიესა „ისინი არიან“, ვოდევილი 1 მოქ. პიესას მოკლე ხანში დავბეჭდავთ.

**დ. თურდოსპირელმა** დასწერა ახალი ორიგინალური პიესა „ნამსხვრევებზე“, თანამედროვე ცხოვრებიდან.

**შოთა დადიანმა** დასწერა ორი ახალი პიესა: ა) „ხერხემალი“, 4 მოქმ., პროლოგით; ბ) „ცეცხლის რკალში“, 3 სურ.

### მწერლობა

**მივიღეთ ზაქარია ჭიჭინაძის** ახალი წიგნი „ქართული მკურნალობის ისტორიიდან“, 20 გვ. ფასი 10 კ. ეს წიგნი საუნჯეა ქართულ მკურნალობის ისტორიისათვის.

**კერძო გამომცემლობის** განახლება განუზრახავთ ზ. ჭიჭინაძეს, კ. თავართქილაძესა და ალ. არაბიძეს.

**ზ. ჭიჭინაძეს** ჭიათურაში ამ მოკლე ხანში უმართვენ იუბილეს.

**ცნობილი მწიგნობარ-გამომცემელი** ზ. ჭიჭინაძე შეუდგა თვისი ნაშრომის „ქართველი გლეხკაცობა და მათი ბატონყმობის ისტორია“-ს გამოცემას.

**მწერალ მ. ადამაშვილის** თხზულებანის ბეჭდვას მოკლე ხანში შეუდგებიან. ჯერჯერობით დაიბეჭდება ორი ტომი პირველ ტომში მოთავსდება: ჩანჩურა, უპატრონო, მეჩექმე გაბო, თავდავიწყება, კურკას ქორწილი, ხალხის სამართლი, ეშმაკის ქვა. (ყველა ესენი დაწერილია 1903-08 წ.) და ტყის კაცი (დაწერილია 1923 წ.). მეორე ტომში—„კვაჭი კვაჭანტირაძე, მისი ცხოვრება და თავგადასავალი“ (სულ ხუთმეტამდე მოხრობა). მოთხრობები დასურათებული იქნება ჩვენი ცნობილი მხატვერბის მიერ.

**ხალხური მწერლის** ვანო გიგოშვილის პიესები „მურისძიება“, „ილიკო იმერლიშვილი“, „არსენ ჯორჯიაშვილი“, „კოჯრის ფრონტი“, „დედინაცვალი“ და სხ. ცალკე წიგნად იბეჭდება. ეს პიესები რავდენჯერმეა წარმოდგენილი.

**ქართველ მუსიკოსთ** განუზრახავთ ამ მოკლე ხონში გამოსცენ „ქართული სამუსიკო გაზეთი“.

**მივიღეთ** ქართველ ებრაელთა ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი „მაკაველი“, № 1. ფ. 10. კაპ დაწვრილებით შემდეგ.

**სოლომონ თავაძის** (ობოლი მუშის) ლექსები, წიგნი მეორე, „შორი ნათელი“, მივიღეთ. წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული, შეიცავს 138 გვ. და ღირს სამი აბაზი

**„კავკასიონი“**, ყოველთვიური ჟურნალი სრ. საქართველოს მწერალთა კავშირისა, № 1—2, გამოვიდა. განყოფილებანი: ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება, 320 + 36 გვ. ფასი 3 მან. ჩერ.—დაწვრილებით შემდეგ.

### მხატვრობა

**ახალგაზრდა ხელოვან-ფოტოგრაფმა** ევ. ჟვანიამ, რომელიც ცნობილია ყველა სათეატრო, საჰაერო და სხ. სურათების გადაღებით, საკუთარი ფოტოგრაფია მოაწყო თავისუფლების მოედანზე, № 3 (ყოფ. ა. რონინშვილის, შემდეგ ტ. მომცელიძის ფოტოგრაფის ადგილას).

### სხვადასხვა

**მწერალი ქალის** ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. იუბილე გაიმართება რუსთველის თეატრში ა. წ. მარტის 9.

**სახელმწ. სათეატრო ინსტიტუტის** მსმენელთა კავშირმა საპატიო წევრებათ აირჩია ვასო აბაშიძე და ვანო სარაჯიშვილი.

**მოკლე ხანში** სახალხო თეატრში წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის „სიყვარულის საზღვართან“.

### პაექრობა

**სრ. საქ. მწერალთა კავშირის** ჩვეულებრივ სალიტერატურო საღამოზე პ. ინგოროყვამ წაიკითხა ფრიად საგულისხმო მოხსენება მოგზაურ-რაინდ მგოსნის შაჰრუხ ჩახრუხაისძის (XII—XIII ს.) შესახებ. დაბეჭდილია ჟურ. „კავკასიონ“-ში № 1—2.

**პროლეტარულ მწერალთა კავშირის** თაოსნობით იმართება ლიტერატურულ-სახელოვნო საღამოები. ერთ-ერთ საღამოზე ი. გედევანიშვილმა წაიკითხა მოხსენება „პროლეტარული ხელოვნება და ჩვენი ამოცანები“, შემდეგ საღამოზე გაიმართა კამათი—ქართულ თეატრისა და „დურუჯი“-ს შესახებ (მომხს. ი. გედევანიშვილი და შ. დუდუჩავა). ჰამათმა ცხარე ხასიათი მიიღო.

# შემოწირულება

შორიდან მივესალმები ჩემი ქვეყნის საყვარელს და სასიქადულო ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს განახლებას და მის ხელმძღვანელს იოსებ იმედაშვილს. უსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ამასთანავე ვწირავ მის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად **ერთს ჩერვონეცს**.

**თინა ნიკ. მგალობლიშვილის ასული აბახოვისა.**

ქ. ნუხა.

**ექიმი** **არსენ ვადაჭკორია**

(ლენინის, ყოფ. ოლღას ქ. № 35)

**ღებულობს ქალთა და შინაგან სენით**
ავადმყოფთ, აგრეთვე უწევს **საბებიო დახმარებას**

(10—1) დილის 9—12, ნაშუადღევის 3—7 ს.

**ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება განცხადებანი:**

**ფასი განცხადებათა დაბეჭდვისა:** მთელი გვერდი—50 მ., ნახევარი—60 მან., მესამედი—25 მ., მეოთხედი—20 მან., დანარჩენი—1 მანეთიდან-10 მანეთამდე.

**თვიურიდ და წლიურად შეღავათით.**

# ფოტოგრაფია

სათეატრო ხელოვან-ფოტოგრაფის

## ევსიხი ყვანიასი

(თავისუფლების მოედანი, № 3, ზემო სართულში)

**ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო საქმეს**

**ხელოვნურად, სწრაფად და ხელმისაწვდენ ფასებში**

10—1 სურათების გადაღება დილის 9 ს. საღამოს 5 ს-დე.

## ახლად გახსნილი სასადილო „საქართველო“

(მოსკოვის ქ., № 2, ვერის დაღმართის ასწვრივ)

**სადილი** ჩვენებური და ევროპიული 2—5 ს. **ვახშამი**—12 ს-დე.

**სანოვაგე** ახალთახალი, **სისუფთავე**—საუცხოვო, **სიიაფე**—ყველასთვის ხელმისაწვდენი, **საუზმე**—ნაირნაირი. ყოველდღე **ხაში**, იმერული საჭმელები **საცივი**, **ხარშო**, **ღომი** და სხვ., **სასმელი**—ყოველნაირი სხვადასხვა ფირმისა.

**სასადილოსთან მოწყობილია ცალკე კაბინეტები.**

პატივისცემით: **დ. გიგიბერია**
**მ. ნალბანდიშვილი**

**კახელ მევენახეთა ამხანაგობა**

## კახური ღვინო „ამირანი“

(ახლად გახსნილი ყოფ. „საერთო“)

**ინახება საუკეთესო ხარისხის**

## კახური

## ბუნებრივი ღვინოები

**როგორც წითელი, აგრეთვე თეთრი,**

**ხელმისაწვდომ ფასებში**

**იყიდება წვრილად და ბითუმად.**

ბელინსკის ქ., № 9.

პატივისცემით საწყობის
გამგე: **ს. მ. ქართველიშვილი.**


ნ. დ. მთავლიტის მიერ № 1091 ს. მ. უ. ს. პოლიგრ. განყოფ. მე-5-ე სტამბა, ლენინის ქ. № 3. ტირაჟი 2000